გზამკვლევი აქციის მონაწილეებისა და ორგანიზატორებისთვის

© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია / 2023

სარჩევი

შესავალი 3

I. შეკრების თავისუფლების სამართლებრივი ჩარჩო და ფარგლები საქართველოში 5

II. დაცული სფერო 7

2.1. შეკრების გამართვის ადგილის და დროის არჩევის უფლება 7

2.2. შეკრების ფორმის არჩევის უფლება 10

2.3. შეკრების თავისუფლების რეალიზება ინტერნეტსივრცეში 10

2.4. მშვიდობიანი დაუმორჩილებლობა 12

2.5 სპონტანური შეკრებები 13

2.6. თანადროული შეკრება და კონტრდემონსტრაცია 14

III. შეკრების თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები 16

3.1. უფლებათა ბალანსი და პროპორციულობის პრინციპი 17

3.2. გზის გადაკეტვის უფლება 18

3.3. კარვის განთავსების უფლება 19

IV. პროცედურული ასპექტები 20

4.1. გაფრთხილება ტრანსპორტის სავალ ადგილზე შეკრების გამართვის შემთხვევა 20

4.2. ორგანიზატორების ვალდებულებები 22

4.3. გასაჩივრება და ზიანის ანაზღაურება 22

V. კანონსაწინააღმდეგო შეკრებების დაუშვებლობა, შეკრების მონაწილეთა პასუხისმგებლობის შესაძლო საფუძვლები და უფლებები 24

5.1. რა უფლებები არ გაგვაჩნია 24

5.2. რა უნდა ვიცოდეთ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოები 26

5.3. შეკრების დაშლა სპეციალური საშუალებების გამოყენებით 29

5.4. როგორ დავიცვათ თავი სპეციალური საშუალებების გამოყენების დროს 31

შემაჯამებელი დასკვნები 34

დანართები 35

დანართი 1: გაფრთხილების ნიმუში 35

დანართი 2: რწმუნების ნიმუში 36

შესავალი

დემოკრატიულ საზოგადოებაში შეკრებისა და მშვიდობიანი პროტესტის თავისუფლება ის ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც გამოხატვის თავისუფლებას უკავშირდება და ადამიანებს აძლევს საშუალებას, შეიკრიბონ, საჯაროდ გამოთქვან პოზიცია და გავლენა მოახდინონ ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაზე. შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების რეალიზება ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხს განსაზღვრავს. ამ უფლების უკანონოდ შეზღუდვა ავტომატურად სხვა უფლებების გამოყენების საფრთხეს შექმნის.

იმისთვის, რომ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების ეფექტიანად და კანონით განსაზღვრულ ფარგლებში გამოყენება ყველასთვის შესაძლებელი იყოს, საჭიროა, შეკრების ორგანიზატორებმა და მონაწილეებმა კარგად იცოდნენ ამ უფლების არსი, ფარგლები და შეზღუდვის საფუძვლები.

სახელმძღვანელოს მიზანია, გაზარდოს ცნობიერება და მიაწოდოს ინფორმაცია შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს კანონმდებლობის ფორმალურ მოთხოვნებზე; გააცნოს შეკრებების/მანიფესტაციების დროს პრაქტიკაში გასათვალისწინებელი საკითხები, შესაბამისი აკრძალვები და პოლიციის მიერ სპეციალური საშუალებების გამოყენების შემთხვევაში - თავდაცვის ხერხები. სახელმძღვანელოში ასევე განხილული იქნება მუნიციპალიტეტის მერიისა და პოლიციის უფლება-ვალდებულებები მშვიდობიანი აქციის/მანიფესტაციის დროს.

ავტორების შესახებ

ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წელს. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ცენტრის მრავალფეროვანი უფლებადაცვითი საქმიანობიდან აღსანიშნავია: საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების მონიტორინგი და დოკუმენტირება; საკანონმდებლო რეფორმების ლობირება და ადვოკატირება ეროვნულ და საერთაშორისო ინსტიტუტებთან; ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე სასამართლო დავების წარმოება მოქალაქეთა უფასო იურიდიული დახმარების გზით, ასევე - ეროვნულ და რეგიონულ დონეზე ადამიანის უფლებათა ორგანიზაციების ქსელური საქმიანობის საშუალებით. ცენტრი ხელს უწყობს საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხის გაუმჯობესებას, უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვასა და ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას. ცენტრი მონიტორინგს უწევს საქართველოში მიმდინარე შეკრებებსა და მანიფესტაციებს, უფასოდ ეხმარება აქციებზე დაკავებულ ადამიანებს როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, ისე სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით. **ადამიანის უფლებათა ცენტრის რეგიონული ოფისები მდებარეობს გორსა და გურჯაანში. უფასო იურიდიული დახმარების მისაღებად დაუკავშირდით: +995 32 237 69 50, +995 32 238 46 48; ელფოსტა:** *hrc@hrc.ge*

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA) დაარსდა 1994 წელს და ის საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი ყველაზე ძველი არასამთავრობო ორგანიზაციაა. საია უფასო იურიდიულ დახმარებას უწევს საქართველოს მოქალაქეებს, უცხოელებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს, მათ შორის, შეკრების უფლების რეალიზებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. კონკრეტულად კი, უფასოდ ეხმარება აქციის ორგანიზებით დაინტერესებულ ადამიანებს, აკვირდება შეკრებებსა და მანიფესტაციებს, ასევე, უკანონოდ დაკავებულებისთვის გამოყოფს ადვოკატს მათი ინტერესების სასამართლოში დასაცავად. აქციისას მიღებული ზიანის შემთხვევაში, საია წარმოადგენს დაზარალებულებს სასამართლოში სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე. საიას დახმარებით არაერთმა ადამიანმა აღიდგინა დარღვეული უფლება ეროვნულ თუ საერთაშორისო სასამართლოში. **საიას აქვს რეგიონული ოფისები ქუთაისში, ბათუმში, ოზურგეთში, ზუგდიდში, გორში, რუსთავში, დუშეთსა და თელავში. უფასო სამართლებრივი კონსულტაციისთვის დაუკავშირდით: სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართლის საკითხებზე +995 32 99 50 76, სისხლის სამართლის საკითხებზე (+995 32) 30 72 36; ელფოსტა:** *legalaid@gyla.ge*

„საერთაშორისო პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის - თბილისი" (IPHR) 2008 წელს ბრიუსელში დაარსებული ორგანიზაციის თბილისის ფილიალია. ის საქართველოში 2019 წელს დარეგისტრირდა და მას შემდეგ ფუნქციონირებს, როგორც ადამიანის უფლებათა ცენტრი, რომელიც დახმარებას უწევს დევნაში მყოფ ადამიანის უფლებათა დამცველებს, იურისტებს და სამოქალაქო აქტივისტებს. IPHR-ის მიზანია, სტრატეგიული სამართალწარმოებისა და ადვოკატირების გზით, აამაღლოს შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების დაცვის სტანდარტი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. ამ პუბლიკაციაზე მუშაობა სწორედ IPHR-ის პროექტის „პროტესტის უფლების ხელშეწყობა ევრაზიის რეგიონში" ხელშეწყობით გახდა შესაძლებელი. **IPHR-ს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ მისამართზე:** *iphr@iphronline.org*

I. შეკრების თავისუფლების სამართლებრივი ჩარჩო და ფარგლები საქართველოში

რას გულისხმობს შეკრების თავისუფლება?

საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანებს აქვთ უფლება, წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბონ საჯაროდ და უიარაღოდ მათ მიერ არჩეულ ადგილას, იქნება ეს ჭერქვეშ თუ გარეთ.[1] ეს ნიშნავს, რომ აქციის გამართვა ხელისუფლების თანხმობის გარეშეა შესაძლებელი. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, შეკრების ორგანიზატორებს შესაბამისი მერიის გაფრთხილების ვალდებულება წარმოეშობათ.

რას იცავს შეკრების თავისუფლება?

„შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ“ კანონი აწესრიგებს იმას, თუ როგორ უნდა ისარგებლონ ადამიანებმა შეკრების უფლებით ისე, რომ აქციის ჩატარებით არ დაირღვეს სხვათა უფლებები (მაგალითად, გადაადგილების, სამეწარმეო საქმიანობის და ა.შ.). კანონი ასევე ადგენს შეკრების თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლებს.[2] „პოლიციის შესახებ” საქართველოს კანონი კი არეგულირებს პოლიციის ქცევას პროტესტის მიმდინარეობისას, ასევე სპეციალური საშუალებების გამოყენების ზოგად წესს, რომლითაც პოლიციელებმა უნდა იხელმძღვანელონ, მათ შორის, აქციების დაშლის დროს.

„შეკრება“ ნიშნავს მოქალაქეთა ჯგუფის შეკრებას ჭერქვეშ ან გარეთ, მიტინგს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სოლიდარობის ან პროტესტის გამოსახატად.[3] ხოლო „მანიფესტაცია“ არის მოქალაქეთა დემონსტრაცია, მასობრივი საჯარო გამოსვლა, ქუჩაში მსვლელობა სოლიდარობის ან პროტესტის მიზნით, ან მსვლელობა პლაკატების, ლოზუნგების, ტრანსპარანტების და სხვა გამომსახველობითი საშუალების გამოყენებით.[4] შეკრება ქოლგა-ტერმინია და მოიცავს შეკრებას სხვადასხვა მეთოდით (ფიზიკურად შეკრება, შეხვედრა საჯარო სივრცეში, მიტინგი, საპროტესტო აქცია, დემონსტრაცია, მსვლელობა, ფლეშმობი და სხვა). აქედან გამომდინარე, მანიფესტაცია შეკრების მხოლოდ ერთ-ერთი ფორმაა.

შეკრების თავისუფლება იცავს ადამიანის უფლებას, გამოხატოს საკუთარი აზრი საჯაროდ, სხვებთან ერთად.

რა შეიძლება იყოს შეკრების მიზანი?

შეკრების მიზანი შეიძლება იყოს სოლიდარობის თუ პროტესტის გამომხატველი კონკრეტული აზრის დაფიქსირება. როგორც წესი, შეკრების მონაწილეებს და ორგანიზატორებს ფართო არჩევანი აქვთ, თავად განსაზღვრონ აზრის გამოხატვის ფორმაც და შინაარსიც. თუმცა, ეს უფლება, შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევაში შეიზღუდოს.

---

1 საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი. გამონაკლისს მიეკუთვნებიან ის პირები, რომლებიც არიან საქართველოს თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში.

2 საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციის შესახებ”.

3 „შეკრებებისა და მანიფესტაციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა” ქვეპუნქტი.

4 „შეკრებებისა და მანიფესტაციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ” ქვეპუნქტი.

გაითვალისწინეთ: შეკრებაზე, იქნება ეს მიტინგი, აქცია თუ დემონსტრაცია, არ უნდა ისმოდეს მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობის ან ძალადობით შეცვლისკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფის და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისკენ, ან ისეთი მოწოდება, რომელიც ომისა და ძალადობის პროპაგანდაა, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს და ქმნის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს (ამასთან დაკავშირებით იხ. მე-5 თავი).

შესაძლებელია თუ არა ერთმა ადამიანმა ისარგებლოს შეკრების თავისუფლებით?

შეკრება გულისხმობს, სულ მცირე, ორი ადამიანის ერთ ადგილას ყოფნას. შესაბამისად, იმისთვის, რომ ქცევა დაცული იყოს შეკრების უფლებით, საჭიროა მინიმუმ ორი ადამიანის მიერ უფლების ერთობლივად რეალიზება. ქუჩაში ერთი ადამიანის პროტესტიც კანონით დაცული სიკეთეა, მაგრამ არა შეკრების, არამედ გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში.[5]

როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, „შეკრების (მანიფესტაციის) უფლება აზრის გამოხატვის კოლექტიურ შესაძლებლობას უკავშირდება, მაგრამ შეკრებაში მონაწილე ადამიანი ამ უფლების რეალიზებას ინდივიდუალურად ახდენს".[6] ეს კი ნიშნავს, რომ შეკრებისას ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს მონაწილის მიერ და მის მიმართ ჩადენილი ქმედებების კანონიერება. არ აქვს მნიშვნელობა, რამდენი ადამიანი ესწრება შეკრებას - ათეულობით თუ ასეულობით. კანონი მათ თანაბრად იცავს.

ვის შეუძლია შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზება?

საქართველოს კონსტიტუციით დაცულია არა მხოლოდ შეკრებასა და მანიფესტაციაში მონაწილეობის, არამედ მისი დაგეგმვისა და ორგანიზების უფლებაც.[7] აქციის ორგანიზატორობა კი შეუძლია ნებისმიერ ადამიანს 18 წლიდან, იქნება ის საქართველოს მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე.[8] თუმცა, არ არის სავალდებულო, შეკრებას ჰყავდეს ორგანიზატორი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონით მერიის გაფრთხილების ვალდებულება არსებობს. ეს კი მაშინ ხდება, როდესაც სავალი გზის გადაკეტვა იგეგმება.

---

5 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Glukhin v. Russia* ეხებოდა ქუჩაში ერთი ადამიანის მიერ საპროტესტო ბანერის ტარებას. ამ საქმეში სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 (გამოხატვის თავისუფლება) და არა მე-11 მუხლის (შეკრების თავისუფლება) დარღვევა. იხ. *Glukhin v. Russia*, no. 11519/20, 4 July 2023.

6 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის", მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია", საქართველოს მოქალაქეები - ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება №2/482,483,487,502, §II-132.

7 თ. ტუღუში და სხვები, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2003, გვ. 318.

8 „შეკრებებისა და მანიფესტაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი.

II. დაცული სფერო

ამ თავში განვიხილავთ შეკრების თავისუფლების ფარგლებს, მათ შორის: შეკრების გამართვის ფორმის, ადგილისა და დროის არჩევის უფლებას, ამ უფლების რეალიზაციას ინტერნეტსივრცეში, მშვიდობიან დაუმორჩილებლობასა და სპონტანურ შეკრებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2.1. შეკრების გამართვის ადგილის და დროის არჩევის უფლება

სად შეიძლება გაიმართოს შეკრება?

ადგილმდებარეობის (მსვლელობის შემთხვევაში - სვლაგეზის) შერჩევა შეკრების უფლების ერთ-ერთი ფუნდამენტური ნაწილია. მას განსაკუთრებული დატვირთვა იმ შემთხვევაში ენიჭება, თუ კონკრეტული ადგილი/დაწესებულება პროტესტის ობიექტია, ან აქვს სიმბოლური მნიშვნელობა, ან კონკრეტულ ადგილზე შეხედულებების გამოხატვა ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა აზრისა თუ პროტესტის ადრესატამდე მისაღწევად.[9] შეკრების გამართვის ფორმის, დროის და ადგილის არჩევის უფლების შეზღუდვა შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერს მხოლოდ მაშინ შეუძლია, თუ ეს გამოწვეულია უკიდურესი საჭიროებით და შეზღუდვა აზრს არ უკარგავს შეკრების მიზანს.

> გაითვალისწინეთ: **მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შეკრების დროისა და ადგილის შეზღუდვამ, შესაძლოა, შეკრების უფლების დარღვევა გამოიწვიოს, თუ ეს ადგილი და დრო პირდაპირ უკავშირდება შეკრების მიზანს.**[10]

მაგალითი: ადამიანთა ჯგუფს სურს პროტესტის გამოხატვა პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტთან დაკავშირებით. მერია კი გადაწყვეტს, რომ მათ პროტესტის გამოხატვის შესაძლებლობა მისცეს სხვა დროს და არა იმ დღეს, როდესაც პარლამენტი სადავო კანონპროექტს განიხილავს. ეს, რა თქმა უნდა, იქნება შეკრების დროსთან დაკავშირებით დაწესებული ისეთი შეზღუდვა, რომელიც შეკრებას აზრს დაუკარგავს. შეკრება აზრს დაკარგავს მაშინაც, თუ ხელისუფლება აქციის მონაწილეებს მისცემს შესაძლებლობას, პროტესტი გამოხატონ სადავო კანონპროექტის განხილვის დღეს, მაგრამ არა პარლამენტის შენობის წინ, არამედ მისგან მოშორებით, სხვა ადგილას.

რას გულისხმობს საჯარო სივრცე?

საჯარო სივრცეში იგულისხმება პარკები, სკვერები, ქუჩები, გზის სავალი ნაწილი, ასევე ღია სივრცეები ადმინისტრაციული შენობების მიმდებარედ, რომელთა გამოყენების უფლება ყველა ადამიანს თანასწორად გააჩნია.[11] საჯარო სივრცედ მიიჩნევა შენობა-ნაგებობებიც, რომლებიც ფიზიკურად შესაფერისია შეკრებებისთვის და რომლებიც, ჩვეულებრივ, ღიაა საზოგადოებისთვის. ასეთი შეიძლება იყოს საჯარო საკუთრებაში არსებული, საცხოვრებელ კორპუსებს შორის განთავსებული სტადიონები (აქ არ იგულისხმება ის სტადიონები, სადაც შესასვლელად სპეციალური ნებართვაა საჭირო) ან ამფითეატრები. სახელმწიფომ შეკრების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი, შეიკრიბონ მათთვის სასურველ საჯარო სივრცეში.

---

9 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი), 2020, გვ. 23.

10 იხ. *Lashmankin and Others v. Russia*, no. 57818/009, §405, 7 February 2017.

11 OSCE/Office for Democratic Institutions and Human Rights, European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Guidelines on Freedom of Peaceful Assembly, 3rd edition, 2020, §61.

სად არ შეიძლება შეკრება?

შეკრებისათვის ადგილის არჩევის უფლება, გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება შეიზღუდოს, რათა სხვადასხვა დაწესებულების საქმიანობა არ შეფერხდეს.[12] მაგალითად, საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებას ქვემოთ ჩამოთვლილ შენობებში, ასევე მათი შესასვლელებიდან ოცი მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე:

a. საქართველოს პროკურატურის, პოლიციის, პენიტენციური დაწესებულებებისა (ციხეების) და სამართალდამცავი ორგანოების შენობები;

b. რკინიგზის სადგურები, აეროპორტები, პორტები.[13]

შეკრება ასევე აკრძალულია:

პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალულ ზოლში და მისგან ოცი მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე;[14] სამხედრო ობიექტებში და მათი შესასვლელებიდან ასი მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე.[15]

ასევე, აკრძალულია შეკრების ჩატარებისას შენობების შესასვლელების, ავტომაგისტრალების, რკინიგზის ბლოკირება[16] და ტრანსპორტის სავალი ნაწილის ნაწილობრივ ან სრულად გადაკეტვა, თუ აქციის მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით, შეკრების ჩატარება სხვაგვარად შესაძლებელია.[17]

> **გაითვალისწინეთ: პარლამენტის, მთავრობისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის, სამინისტროების (შინაგან საქმეთა სამინისტროს გარდა), სასამართლოების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ან მერიის, ასევე სხვა საჯარო დაწესებულებების (პროკურატურის, პოლიციის, ციხეებისა და სამხედრო ობიექტების გარდა) შენობიდან 20 მეტრის რადიუსში შეკრების ჩატარება იკრძალება მხოლოდ მაშინ, თუ ეს საჯარო დაწესებულებები დაასაბუთებენ, რომ შეკრების მონაწილეების მიერ შენობიდან ამ რადიუსის დაცვის გარეშე, პროტესტი ხელს შეუშლის მათ ნორმალურ საქმიანობაში. ასეთ გადაწყვეტილებას შესაბამისი საჯარო დაწესებულება თავად იღებს ყოველ საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით.**

შესაძლოა, ერთმა საპროტესტო აქციამ პარლამენტის შენობასთან, 20-მეტრიანი რადიუსის დაცვის გარეშე, ხელი არ შეუშალოს მოქალაქეებსა და პარლამენტარებს, მაგრამ სხვა საპროტესტო აქციამ, რომელიც ასევე ამ რადიუსის დაცვის გარეშე იმართება, შეაფერხოს პარლამენტის მუშაობა. ამიტომ, ასეთ დროს პარლამენტის თავმჯდომარეს აქვს უფლება, იმ აქციის მონაწილეებს, რომლებიც აფერხებენ პარლამენტის ნორმალურ ფუნქციონირებას, მოსთხოვოს 20-მეტრიანი რადიუსის დაცვა.

---

12 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში supra n. 9, გვ. 23.

13 „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-9 მუხლის პირველი ნაწილი.

14 იქვე, მე-9 მუხლის პირველი პრიმა ნაწილი.

15 იქვე, მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი.

16 იქვე, მე-9 მუხლის მე-3 ნაწილი.

17 იქვე, მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი.

20 მეტრის რადიუსში შეკრების ჩატარების მოთხოვნა არ ვრცელდება ზემოთ ჩამოთვლილ დაწესებულებებზე. ეს ნიშნავს, რომ შეკრების მონაწილეებს შეუძლიათ, ამ საჯარო დაწესებულებებთან საპროტესტო აქცია დაიწყონ დისტანციის დაცვის გარეშე, ხოლო მას შემდეგ, რაც შესაბამისი დაწესებულების წარმომადგენელი მათ გააცნობს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას 20-მეტრიანი რადიუსის დაცვის აუცილებლობაზე, პროტესტი ამ რადიუსის დაცვით განაგრძონ.[18]

> **გაითვალისწინეთ: შეკრების ადგილმდებარეობის ან სვლაგეზის არჩევის უფლება არ ითვალისწინებს კერძო საკუთრებაში შესვლისა ან სახელმწიფო შენობებში შეჭრის უფლებას.**

როდის შეუძლია მერს შეკრების დროისა და ადგილის შეზღუდვა?

მერიას უფლება აქვს, შეზღუდოს შეკრების დრო ანდა ადგილი, თუ შეკრების გამართვით ხელი ეშლებათ აქციის სიახლოვეს მცხოვრებ ან დასაქმებულ ადამიანებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხანგრძლივი საპროტესტო აქციაა დაგეგმილი. ასეთ დროს მერიამ აქციის მონაწილეებს უნდა შესთავაზოს ისეთი ადგილი, სადაც ისინი დაბრკოლებას არ შეუქმნიან სხვების საქმიანობას. საპროტესტო აქციის ჩატარებისას ასეთი ფაქტორები შეიძლება იყოს, მაგალითად, ხმაური, გადაადგილების შეფერხება და სხვა. თუ ხანგრძლივი საპროტესტო აქცია ხელს არ უშლის სხვებს ნორმალურ ცხოვრებაში, მერიას არა აქვს აქციის ორგანიზატორებისთვის სხვა ადგილის შეთავაზების უფლება. ასევე, მერიას არ აქვს უფლება, შეზღუდოს შეკრება, თუ ის ხანმოკლე უნდა იყოს.

როგორ ზღუდავს კანონი სახელმწიფოს აქციის მონაწილეების მიერ შეკრების უფლებით სარგებლობისას?

სახელმწიფო არა მხოლოდ ვალდებულია, ხელი შეუწყოს შეკრების თავისუფლების უფლებით სარგებლობას ორგანიზატორებისა და მონაწილეებისთვის მისაღები ფორმით, შერჩეულ დროსა და ადგილას, არამედ, ასევე, თავი უნდა შეიკავოს მათთვის ხელოვნური დაბრკოლებების შექმნისგან და არ შეზღუდოს წვდომა საზოგადოებრივ ადგილებზე. მაგალითად, აქციაზე სიტყვით გამომსვლელებისთვის კონკრეტულ ადგილებთან მიახლოების აკრძალვა ზოგჯერ შეიძლება იწვევდეს შეკრების თავისუფლების ირიბ, მაგრამ არაპროპორციულ შეზღუდვას, მით უფრო, თუ ამ ადგილებს სიმბოლური მნიშვნელობა აქვს.[19]

შეკრების თავისუფლებაზე ვერ დაწესდება აბსოლუტური, ბლანკეტური აკრძალვები. მაგალითად, სახელმწიფოს არ აქვს უფლება, აკრძალოს ყველა დემონსტრაცია დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ან ცალკეულ ადგილებში (მაგალითად, არ შეიძლება ისეთი კანონის ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება, რომელიც აკრძალავს ყველანაირ შეკრებას პარლამენტის ან მთავრობის შენობის წინ). ამ ზოგადი წესიდან გამონაკლისია მხოლოდ საომარი ან საგანგებო სიტუაცია, რომელიც საქართველოს პრეზიდენტს დეკრეტის გამოცემის საშუალებას და, მის საფუძველზე, საგანგებო ან საომარი სიტუაციის დასრულებამდე შეკრების აკრძალვის უფლებას აძლევს.[20]

---

18 იქვე, მე-11[2] მუხლის მე-4 ნაწილი.

19 OSCE/Office for Democratic Institutions and Human Rights, European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Guidelines on Freedom of Peaceful Assembly, 2nd edition, 2010, §24.

20 საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

2.2. შეკრების ფორმის არჩევის უფლება

შეკრების თავისუფლება გულისხმობს ადამიანების უფლებას, შეიკრიბონ ქვეყანაში მიმდინარე მათთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ მოვლენებზე რეაგირების მიზნით. მართალია, კანონი ამომწურავად არ არეგულირებს, როგორ და რა ფორმით უნდა გამოიყენონ ადამიანებმა ეს კონსტიტუციური უფლება, მაგრამ ადგენს გარკვეულ წესებს ამის თაობაზე. ეს თავი სწორედ ამ უფლებასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს მიმოიხილავს.

რამდენად მნიშვნელოვანია, შეკრება იყოს მშვიდობიანი?

შეკრების თავისუფლება დაცულია, თუ ის მშვიდობიანია. შესაბამისად, ის შეკრებები, სადაც ორგანიზატორებს ან მონაწილეებს ძალადობრივი განზრახვები აქვთ და ხალხს კანონის დარღვევისკენ მოუწოდებენ, არ არის კანონით დაცული.[21] ეს კი ნიშნავს, რომ სახელმწიფომ, შესაძლოა, მისი დაშლა მოითხოვოს. თუმცა, შეკრების ძალადობრივად მისაჩნევად, აუცილებელია, არსებობდეს ამის დამადასტურებელი აშკარა და უტყუარი მტკიცებულებები.[22] მხოლოდ ის ფაქტი, რომ შეკრების მონაწილეები შეიძლება ღიად გამოხატავდნენ იდეებს, რომლებიც აღიზიანებს ან შეურაცხყოფს კონკრეტულ ადამიანებს ან ადამიანთა ჯგუფს, არ არის საკმარისი, რომ ის უკანონოდ ჩაითვალოს.[23]

რას გულისხმობს შეკრების ძალადობრივი ხასიათი?

ქმედების ძალადობრივი ხასიათი ვიწროდ უნდა განიმარტოს, თუმცა, გამონაკლისის სახით, ფიზიკური ძალადობის გარდა, იგი მოიაზრებს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასაც - ისევე, როგორც სხვა ადამიანების განზრახ დაშინებას ანდა შევიწროებას.[24] ძალადობრივი ქცევის წაქეზებად ითვლება ისეთი მოწოდებები, რომლებიც აღვივებს სიძულვილსა და დისკრიმინაციას. თუმცა, შეკრება არ უნდა მივიჩნიოთ ძალადობრივად, როდესაც მონაწილეთა მხოლოდ მცირე ჯგუფი ან ცალკეული ადამიანები ძალადობენ და ისინი არ არიან შეკრების ორგანიზატორები. ძალადობის ასეთ იზოლირებულ შემთხვევებში, სახელმწიფომ ინდივიდუალურად უნდა დასაჯოს ძალადობის ჩამდენი პირები და არ უნდა მიიღოს მთლიანი შეკრებისა და მისი მშვიდობიანი მონაწილეების დაშლის გადაწყვეტილება.[25]

2.3. შეკრების თავისუფლების რეალიზება ინტერნეტსივრცეში

შეიძლება თუ არა შეკრების უფლების გამოყენება ინტერნეტსივრცეში?

მიუხედავად იმისა, რომ შეკრება აღიქმება ადამიანების ფიზიკურ თავყრილობად, აღიარებულია, რომ ადამიანის უფლებების, მათ შორის, შეკრების თავისუფლების დაცვა შეიძლება

---

21 Guidelines on Freedom of Peaceful Assembly supra n. 19, §25.

22 იქვე.

23 იხ. *Handyside v. the United Kingdom*, no. 5493/72, §49, 7 December 1976, Series A no. 24; *Observer and Guardian v. The United Kingdom*, no. 13585/88, 26 November 1996, §59, Series A no. 216.

24 Guidelines on Freedom of Peaceful Assembly supra n. 19, §27.

25 იქვე, §159.

გავრცელდეს ონლაინრეჟიმშიც.[26] დღეს პოლიტიკური პროტესტების აბსოლუტური უმრავლესობა დაგეგმილი და ორგანიზებულია ინტერნეტის საშუალებით. ის მოკლე დროში ადამიანთა დიდი ჯგუფის მობილიზების შესაძლებლობას იძლევა, რაც შეიძლება გადამწყვეტი იყოს გარკვეულ მოვლენაზე რეაგირებისთვის, როგორიცაა, მაგალითად, არჩევნების შედეგების გამოცხადება, კონტრდემონსტრაცია, ანტიდემოკრატიული კანონის მიღება და სხვა.

აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ, თუ საჯარო სივრცეში ფიზიკური შეკრება დაიგეგმა სოციალური ქსელების მეშვეობით, შეკრების ჩატარების დრო და ადგილი კი მითითებულია ინტერნეტში სხვადასხვა გვერდზე, ამ რესურსის დაბლოკვა შეკრების თავისუფლებაში ჩარევად ჩაითვლება, რადგან მის ორგანიზატორებს შეეზღუდებათ შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოების გაწევის შესაძლებლობა.[27]

ამასთანავე, ხაზგასასმელია, რომ სოციალურ ქსელში შინაარსის გამო პოსტის დაბლოკვა ან მისი ავტორის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა - ისევე, როგორც სოციალური ქსელიდან სახელმწიფოს მიერ კონკრეტული სპიკერის დაბლოკვა - გამოხატვის თავისუფლების დარღვევა იქნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაბლოკილი ტექსტი თუ კონკრეტული პირი აშკარად სცდებოდა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს.

ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა.[28] ტექნოლოგიების ეპოქაში სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა ინფორმაციის, აზრისა და მედიის თავისუფლების უზრუნველყოფა. შესაბამისად, როდესაც ადამიანს მისი შეხედულებების გამო უბლოკავენ სხვადასხვა აქტივობას ონლაინპლატფორმაზე, ამით მას ართმევენ ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლებას და, იმავდროულად, უზღუდავენ კონსტიტუციით გარანტირებულ გამოხატვის თავისუფლებას.

როგორ შეიძლება შეკრების უფლების გამოყენება ინტერნეტსივრცეში?

ადამიანს აქვს უფლება, აირჩიოს ნებისმიერი ვებგვერდი, აპლიკაცია ან სერვისი, რათა მონაწილეობა მიიღოს სოციალური ჯგუფებისა და გაერთიანებების საქმიანობაში. ონლაინსივრცეში გამოხატული პროტესტი, ფიზიკური საპროტესტო შეკრების მსგავსად, უნდა იყოს მშვიდობიანი. ეს კი ნიშნავს, რომ ინტერნეტით გავრცელებული განცხადებები არ უნდა შეიცავდეს ძალადობისკენ მოწოდებას.

> **გაითვალისწინეთ: თუ ადამიანის მიერ ორგანიზებული ონლაინპროტესტი სერვისების დაბლოკვას, შეფერხებას ან სხვისი ქონების დაზიანებას გამოიწვევს, შეიძლება მას ამისთვის პასუხისმგებლობა დაეკისროს.**

როგორ უნდა დაიცვას სახელმწიფომ ონლაინსივრცეში ადამიანების შეკრების თავისუფლება?

სახელმწიფო ვალდებულია, პატივი სცეს ონლაინშეკრების ორგანიზების, დაგეგმვისა და აღსრულების უფლებას; უფრო მეტიც, ეს უფლება უნდა განიმარტოს, როგორც მშვიდობიანი შეკრებების ნაწილი, რომელიც იმართება ონლაინ, სხვადასხვა ქსელის საშუალებით. ონლაინშეკრება შეიძლება გაიმართოს დისკუსიის, კამპანიის ან სხვა ფორმით.

---

26 Joint report of the Special Rapporteur on the rights to freedom of peaceful assembly and of association and the Special Rapporteur on extrajudicial, summary or arbitrary executions on the proper management of assemblies, 4 February 2016, A/HRC/31/66, §10, ხელმისაწვდომია: *https://shorturl.at/ipCX9* [ბოლო ნახვა: 18.07.2023].

27 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სახელმწიფოს ამ ქმედებას განიხილავს კონვენციის მე-11 მუხლთან (შეკრების თავისუფლება) მიმართებით.

28 საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი.

დაუშვებელია ინტერნეტსა და სოციალურ მედიაზე წვდომის შეზღუდვა შეკრების წინ ან მისი მიმდინარეობისას. ამასთანავე, არ უნდა შეიზღუდოს ან დაიბლოკოს ვებგვერდები და სოციალური ქსელები, რომლებიც შეკრების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად გამოიყენება.

აქვთ თუ არა ინტერნეტპროვაიდერებს შეკრების უფლების დაცვის ვალდებულება?[29]

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების დაცვის საბოლოო ვალდებულება სახელმწიფოებს აქვთ, ეს მოთხოვნა მესამე პირებზეც ვრცელდება - ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, ინტერნეტის პროვაიდერ კერძო კომპანიებზე. მათ ხელი უნდა შეუწყონ ხელმისაწვდომი ვირტუალური სივრცის შექმნას გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებისთვის.

ინტერნეტპროვაიდერებთან თანამშრომლობით, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ცენზურის ქვეშ არ მოექცეს ისეთი ინფორმაცია თუ შინაარსი, რომელიც, ჩვეულებრივ, დასაშვები და მისაღებია დემოკრატიულ საზოგადოებაში. ინტერნეტპროვაიდერებმა ასევე არ უნდა დაბლოკონ ის შეხედულებები, რომლებიც შეიძლება „აღიზიანებდეს ან შეურაცხყოფდეს“[30] საზოგადოების რომელიმე ნაწილს.

თუ არ არსებობს სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, სახელმწიფომ არ უნდა აიძულოს ინტერნეტპროვაიდერები, გადასცენ ხელისუფლებას ინფორმაცია, რომელიც ინტერნეტის მეშვეობით გაუზიარეს შეკრებაში მონაწილე ადამიანებმა.[31] ამასთანავე, ინტერნეტმომხმარებლებს უნდა ჰქონდეთ კომუნიკაციის ანონიმურად დამყარების შესაძლებლობა, მაგრამ, ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს, როდესაც არსებობს დანაშაულის გამოძიების ლეგიტიმური მიზანი.[32]

2.4. მშვიდობიანი დაუმორჩილებლობა

რას ნიშნავს მშვიდობიანი დაუმორჩილებლობა?

მშვიდობიანი დაუმორჩილებლობა, იგივე სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, პროტესტის ერთ-ერთი ფორმაა. მისი მიზანია ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ცვლილებების მიღწევა უიარაღოდ და მშვიდობიანად. იგი ეფუძნება რწმენას, რომ სახელმწიფოში ძირეული ცვლილებები შესაძლებელია დაუმორჩილებლობით, გაფიცვებით, საჯარო სივრცეების დაკავებითა და ყველა იმ სიმბოლური საშუალებით, რომლებიც სახელმწიფოს ანტიდემოკრატიულ ქმედებებს შეზღუდავს.

---

29 ინტერნეტმომხმარებლის მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებული პოსტის შინაარსს არა მომსახურების მიმწოდებელი კომპანიები, არამედ შესაბამისი სოციალური ქსელის ადმინისტრაცია არეგულირებს. სწორედ სოციალური ქსელის ადმინისტრაცია შლის თავის შიდა რეგულაციებთან შეუსაბამო პოსტებს და ბლოკავს მომხმარებელს, რომელიც არღვევს ამ რეგულაციებს. საქართველოში პოპულარული სოციალური ქსელების უმრავლესობაზე ვრცელდება აშშ-ის კანონმდებლობა. აშშ-ის კონსტიტუცია კი კერძო კორპორაციებს - სოციალური ქსელების მფლობელებს - არ ავალდებულებს, დაიცვან მომხმარებლის სიტყვის თავისუფლება ან სხვა კონსტიტუციური უფლებები. ამიტომ, რეაგირების მექანიზმი არ არსებობს იმ შემთხვევაში, როცა სოციალური ქსელის შიდა რეგულაცია ეწინააღმდეგება გამოხატვის თავისუფლების ამერიკულ სტანდარტებს.

30 იხ. *Ezelin v. France*, 26 April 1991, Series A no. 202. იხ. ასევე: *Handyside v. the United Kingdom* supra n. 23, §49; *Observer and Guardian v. The United Kingdom*, supra n. 23, §59.

31 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს განჩინებით“.

32 Council of Europe, Recommendation CM/Rec(2014)6 of the Committee of Ministers to Member States on a Guide to Human Rights for Internet Users, 16 April 2014, §§57-59.

როგორც საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშშია განმარტებული, ტერმინი „მშვიდობიანი“ ასევე მოიცავს ქმედებებს, რომლებიც, შესაძლოა, ვინმეს აღიზიანებდეს ან შეურაცხყოფდეს, ასევე, დროებით აფერხებდეს ან ხელს უშლიდეს მესამე პირთა საქმიანობას.[33] შესაბამისად, მჯდომარე აქციები, შენობის შესასვლელების ბლოკირება, გზების გადაკეტვა, ბოიკოტი და გაფიცვა, იმის მიუხედავად, იწვევს თუ არა ეს საზოგადო უკმაყოფილებას და დისკომფორტს, პროტესტის უფლების ფარგლებში ექცევა. იგივე შეიძლება ითქვას არტინსტალაციებზე, ცოცხალ ჯაჭვებსა და ფლეშმობებზე.

> **გაითვალისწინეთ: შეკრების თავისუფლებით დაცულ სფეროში არ შედის აქციის მონაწილეების მიერ სამართლებრივი ნორმებისა და პოლიციის კანონიერი ბრძანების დაუმორჩილებლობა.**

2.5 სპონტანური შეკრებები

რას ნიშნავს სპონტანური შეკრება?

სპონტანური შეკრება ნიშნავს ადამიანების შეკრებას ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე, კონკრეტულ მოულოდნელ მოვლენასთან დაკავშირებით, ხშირად - პროტესტის გამოსახატად. სპონტანური აქციები შეიძლება დაიწყოს მედიასა ან ინტერნეტწყაროებში გავრცელებული ახალი ამბების გამო. როგორც წესი, ასეთ დროს ხალხი ნელ-ნელა იწყებს კონკრეტულ ადგილას თავმოყრას, შეკრების დაწყების შემდეგ კი მათი რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალების გამოყენებით (მაგალითად, ტელეფონით, მოკლეტექსტური შეტყობინებით, ინტერნეტით და ა.შ.). ასეთი შეტყობინება, თავისთავად, არ უნდა მიიჩნეოდეს შეკრების წინასწარ ორგანიზებად.

ხშირ შემთხვევაში, სპონტანური აქციები ერთადერთი გამოსავალია, როდესაც აღმასრულებელი, საკანონმდებლო ან სასამართლო ხელისუფლება მოულოდნელ და დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებას იღებს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. ჯანსაღი დემოკრატიის პირობებში სპონტანური აქციები საკმაოდ ხშირი და ბუნებრივი რეაქციაა. ის განიხილება შეკრების ერთ-ერთ ფორმად, რადგან დაგვიანებულმა რეაგირებამ, შესაძლოა, მშვიდობიანი შეკრების უფლებით სარგებლობას ყოველგვარი აზრი დაუკარგოს.

შეიძლება თუ არა სპონტანური აქციის დაშლა?

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სპონტანური შეკრების ცნებას, იგი ქვეყნის რეალობაში ხშირი მოვლენაა. თუმცა, იმისთვის, რომ სახელმწიფომ არ მიიღოს სპონტანური აქციის დაშლის გადაწყვეტილება, აუცილებელია, ის იყოს მშვიდობიანი. მშვიდობიანი სპონტანური აქციის დაშლა დაუშვებელია მაშინაც, როდესაც მას შედეგად გზის გადაკეტვა ან მოძრაობის შეზღუდვა მოჰყვება. ეს არ ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც, მონაწილეების რაოდენობიდან გამომდინარე, შეკრება გზის გადაკეტვის გარეშეც არის შესაძლებელი.

> **დაიმახსოვრეთ: ჩვეულებრივ შემთხვევაში, როდესაც შეკრება რამდენიმე დღით ადრე იგეგმება და შეკრების მონაწილეების მიერ გზის გადაკეტვა ან სხვათა მიმოსვლის შეფერხებაა მოსალოდნელი, აუცილებელია მერიის წინასწარ გაფრთხილება.**

33 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში: მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი), 2020, გვ. 16.

2.6. თანადროული შეკრება და კონტრდემონსტრაცია

რა არის თანადროული შეკრება და კონტრდემონსტრაცია?

ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ თანადროული შეკრება და კონტრდემონსტრაცია.

კონტრდემონსტრაცია გულისხმობს მშვიდობიან შეკრებას/მანიფესტაციას, რომელიც იმართება სხვა მშვიდობიან შეკრებასთან ერთად და რომლის მიზანია სხვა შეკრების მონაწილეებისგან განსხვავებული აზრის გამოხატვა.[34]

ხოლო თანადროული შეკრება გულისხმობს ორ სხვადასხვა მშვიდობიან შეკრებას/მანიფესტაციას, რომლებიც იმართება ერთსა და იმავე დროსა და ადგილას და მიზნად არ ისახავს ერთმანეთისგან განსხვავებული აზრის გამოხატვას.[35]

> **მაგალითი:** საქართველოში კონტრდემონსტრაციის მაგალითია LGBTQ+ თემის მიერ დაანონსებული შეკრების დროსა და ადგილას ულტრაკონსერვატიული ჯგუფების შეკრება, რომლებიც ძალადობრივი და ჰომოფობიური ქცევით გამოირჩევიან. ერთ-ერთი ბოლო ასეთი კონტრაქცია 2021 წლის 5 ივლისს ჩატარდა, რომელიც „ღირსების მარშის" გაუქმებას ისახავდა მიზნად. შედეგად, ულტრაკონსერვატიული ჯგუფის წევრები ათობით ჟურნალისტს თავს დაესხნენ, მიაყენეს ფიზიკური, სიტყვიერი შეურაცხყოფა და დაუმტვრიეს ტექნიკა.[36] 2021 წლის 5 ივლისის აქცია იმის გამო იყო კონტრდემონსტრაცია, რომ ულტრაკონსერვატიული ჯგუფები LGBTQ+ თემისგან განსხვავებული მოსაზრებების გამოსათქმელად გამოვიდნენ. თუმცა, მათ მიერ განსხვავებული აზრის მშვიდობიანად გამოხატვა ძალიან ცოტა ხანს გაგრძელდა. კონტრდემონსტრაცია ფიზიკურ ძალადობაში გადაიზარდა, რითაც მათმა შეკრებამ უკანონო ხასიათი მიიღო.

თანადროული შეკრების მაგალითია 2023 წლის 20 ივნისს პარლამენტის შენობის წინ მიხეილ სააკაშვილის მომხრეების, ჭიათურელი მაღაროელებისა და ლაზარე გრიგორიადისის მამის, ბექა გრიგორიადისის საპროტესტო აქციების ერთდროულად ჩატარება.[37] ეს სხვადასხვა შეკრება თანადროულია იმის გამო, რომ მისი მონაწილეების მიზანი არ იყო ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებების გამოხატვა, არამედ მათ სურდათ ერთსა და იმავე დროს და ადგილას სხვადასხვა შინაარსის შეკრების ჩატარება. მაგალითად, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მომხრეები ითხოვდნენ სამკურნალოდ მის გადაყვანას; ბექა გრიგორიადისი - თავისი შვილის გათავისუფლებას; ხოლო ჭიათურელი მაღაროელები - შრომითი პირობების გაუმჯობესებას. კონტრდემონსტრაციისგან განსხვავებით, ამ თანადროული შეკრების მონაწილეებს არაფერი ჰქონდათ ერთმანეთის საწინააღმდეგო.

---

34 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის №1002 ბრძანების დანართი, შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის მე-3 მუხლის „გ" ქვეპუნქტი.

35 იქვე, მე-3 მუხლის „დ" ქვეპუნქტი.

36 იხ. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 5-6 ივლისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება - პირველადი ანალიზი, 6 სექტემბერი 2021, ხელმისაწვდომია: *https://shorturl.at/gEFK1* [ბოლო ნახვა: 28.07.2023].

37 სანდრო გვინდაძე, მაღაროელები თბილისისგან მეტს ელოდნენ. როგორ უყურებს დედაქალაქი მათ პროტესტს, რადიო თავისუფლება, 21 ივნისი 2023, ხელმისაწვდომია: *https://shorturl.at/iuEN8* [ბოლო ნახვა: 28.07.2023].

რა ევალება სახელმწიფოს თანადროული შეკრებისა და კონტრდემონსტრაციის შემთხვევაში?

სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ორი დაპირისპირებული ჯგუფის შეკრების თავისუფლება და მაქსიმალურად შესაძლებელი გახადოს ორივე აქციის ჩატარება.[38] იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე აქციის მონაწილეთა უმრავლესობა ძალადობს, სახელმწიფო ვალდებულია, მშვიდობიანი დემონსტრაცია დაიცვას კონტრდემონსტრაციისგან,[39] მიიღოს შესაბამისი ზომები ძალადობის აღსაკვეთად ან, სულ მცირე, შეზღუდოს მისი მასშტაბი.[40] სამართალდამცავებმა უნდა იმოქმედონ სიძულვილის ენის ისეთ გამოვლინებაზე, რომელიც ძალადობის მყისიერ საფრთხეს ქმნის. სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს მსგავსი შეკრებების ჩატარების წარსული გამოცდილება და კონტრაქციის გავლენა მშვიდობიან აქციაზე, როდესაც არსებობს ერთი ჯგუფის მიერ მეორეზე ძალადობის, ან ორ ჯგუფს შორის ძალადობრივი დაპირისპირების საფრთხე.[41]

რას ამბობს ევროპული სასამართლო საქართველოს მიერ კონტრაქციების ჩატარების პრაქტიკაზე?

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში „ორგანიზაცია „იდენტობა“ და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ აღნიშნა, რომ საქართველომ დაარღვია 2012 წლის 17 მაისს, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით შეკრებილი ადამიანების შეკრების თავისუფლება. ეს საქმე შეეხებოდა რადიკალური ჯგუფების მიერ LGBTQ+ თემის წევრებსა და მათ მხარდამჭერებზე თავდასხმას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა: საქართველოს ხელისუფლება წინასწარ, 9 დღით ადრე იყო გაფრთხილებული, რომ იგეგმებოდა მშვიდობიანი მსვლელობა 2012 წლის 17 მაისს. ხელისუფლებას ეს საკმაოდ დიდი ვადა არ გამოუყენებია, რომ სათანადოდ მომზადებულიყო. საქართველოში საზოგადოების გარკვეულ ნაწილში LGBTQ+ თემის მიმართ აგრესიული დამოკიდებულების გამო, ხელისუფლებამ იცოდა, ან უნდა სცოდნოდა, რომ ჰომოფობიის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ორგანიზაცია „იდენტობის” მარშის მოწყობას დაპირისპირება მოჰყვებოდა. შესაბამისად, ის ვალდებული იყო, გამოეყენებინა ყველა აუცილებელი ზომა ფიზიკური ძალადობის თავიდან ასაცილებლად. მაგალითად, ხელისუფლების წარმომადგენლებს წინასწარ უნდა გაეკეთებინათ საჯარო, არაორაზროვანი განცხადებები LGBTQ+ თემის წევრების უფლებების თანასწორად დაცვის თაობაზე. იმავდროულად, უნდა გაეფრთხილებინათ შესაძლო კანონდამრღვევები მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ. ასევე, ცხადია, რომ LGBTQ+ თემის მსვლელობის ადგილას მობილიზებული სამართალდამცავების რაოდენობა არასაკმარისი იყო. გონივრული იქნებოდა, სახელმწიფოს მეტი საპოლიციო ძალა, მათ შორის, სპეცდანიშნულების რაზმი გამოეყვანა ქუჩაში ფიზიკური ძალადობის თავიდან ასაცილებლად.[42]

მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2013 წლის 17 მაისის შეკრების დარბევასთან დაკავშირებით საქმეზე „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ”. ამ საქმეში მთავრობა ამტკიცებდა, რომ შეასრულა თავისი ვალდებულება, რადგან ჰქონდა LGBTQ+ თემის წევრების ევაკუაციის წინასწარ

38 *Fáber v. Hungary,* no. 40721/08, §§ 40, 43, 24 July 2012.

39 *The United Macedonian Organisation Ilinden and Ivanov v. Bulgaria,* no. 44079/98, §115, 20 October 2005

40 იქვე.

41 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 5-6 ივლისის მოვლენების ქრონოლოგია და სამართლებრივი შეფასება, 2021, გვ. 29.

42 *Identoba and Others v. Georgia*, no. 73235/12, §99, 12 May 2015.

შემუშავებული გეგმა, რითაც აქციის მონაწილეების უსაფრთხოების დაცვა შეძლო. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფოს ამ არგუმენტს შემდეგნაირად უპასუხა: „ლგბტ თემის წევრების ევაკუაცია ისე, რომ მათ არ ჰქონიათ საჯარო დემონსტრაციის ჩატარების შესაძლებლობა [...] ვერ ჩაითვლება სახელმწიფოს მხრიდან სიძულვილით მოტივირებული თავდასხმებისგან მათი ადეკვატური დაცვის უზრუნველყოფის პოზიტიური ვალდებულების შესრულებად".[43]

ამგვარად, მშვიდობიანი აქციის მონაწილეების განრიდება მოძალადე კონტრდემონსტრანტებისგან არ არის შეკრების უფლების დაცვა. სახელმწიფო მაქსიმალურად უნდა შეეცადოს, რომ მშვიდობიანი შეკრება/მანიფესტაცია ჩატარდეს იმ ფორმატში, იმ დროსა და იმ ადგილას, როგორც ის იყო დაგეგმილი ორგანიზატორების მიერ.

საქართველოში მოქმედებს გაფრთხილების და არა ნებართვის სისტემა, რაც ნიშნავს, რომ ხელისუფლების ვერცერთი ორგანო ვერ აუკრძალავს აქციის მონაწილეებს, შეიკრიბონ და გამოხატონ პროტესტი, ვიდრე ისინი შეკრების მსვლელობისას კანონს არ დაარღვევენ.[44] მიუხედავად ამისა, გაფრთხილების მიღებიდან 3 დღეში მერიას შეუძლია, დაიბაროს შეკრების ორგანიზატორი და რწმუნებული, რათა მისცეს მათ რეკომენდაცია, შეცვალონ შეკრების ჩატარების დრო ანდა ადგილი, თუკი გაფრთხილებაში მითითებულ ადგილას და დროს ტარდება სხვა შეკრება. კონკრეტულ დროსა და ადგილას შეკრების ჩასატარებლად უპირატესობა მიენიჭება იმას, რომელმაც პირველად აცნობა მერიას შეკრების ჩატარებაზე. ხოლო იმ ჯგუფს, რომელმაც მას მოგვიანებით მიმართა, ალტერნატიული ადგილი ან დრო უნდა შესთავაზოს.[45]

> **გაითვალისწინეთ: 2002 წლის 5 ნოემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო „შეკრებების და მანიფესტაციების შესახებ" კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი, რაც მერიას აძლევდა უფლებამოსილებას, არ დაეშვა შეკრების ჩატარება, თუ არსებობდა პოლიციის მიერ გადამოწმებული ინფორმაცია, რომ შეკრების ან მანიფესტაციის შედეგად უშუალო საფრთხე ემუქრებოდა კონსტიტუციურ წყობილებას, მოქალაქეთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ ეს გარემოება უნდა დაედგინა არა მერს, არამედ სასამართლოს.[46] ამგვარად, მერია წინასწარ ვერ აკრძალავს შეკრებას, მაშინაც კი, როდესაც სავარაუდოა, რომ შეკრებილმა ადამიანებმა შეიძლება რაღაც დანაშაული ჩაიდინონ.**

III. შეკრების თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები

შეკრების თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი შეზღუდვა დასაშვებია. თუმცა, ეს უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციითა და „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" კანონით განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნების

43 *Women's Initiatives Supporting Group and Others v. Georgia,* nos. 73204/13 and 74959/13, §74, 16 March 2022.

44 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყეშელაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბრის №2/2/180-183 გადაწყვეტილება, §6.

45 „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი.

46 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №2/2/180-183 გადაწყვეტილება supra n. 44, §10.

მისაღწევად.[47] ამასთანავე, შეზღუდვა უნდა იყოს კანონმდებლობაში ცხადად გაწერილი, პროპორციული და საჭირო დემოკრატიულ საზოგადოებაში. ეს თავი სწორედ შეკრების უფლების ლიმიტებს მიმოიხილავს.

3.1. უფლებათა ბალანსი და პროპორციულობის პრინციპი

როდის შეიძლება შეიზღუდოს შეკრების თავისუფლება?

შეკრების თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვების უფლებების დასაცავად, კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. დაუშვებელია შეკრების თავისუფლების შეზღუდვა, თუ საფრთხე არ ექმნება ზემოთ ჩამოთვლილ რომელიმე დაცულ სიკეთეს.

მიზნები:	**წინაპირობები:**
• სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა • ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა • სხვათა უფლებების დაცვა • კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილება • სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა	• კანონით გათვალისწინებული • დემოკრატიული საზოგადოებისთვის აუცილებელი • არადისკრიმინაციული • პროპორციულად შემზღუდველი • შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით მიყენებულ ზიანს

თუკი ჩამოთვლილთაგან რომელიმე წინაპირობა არ სრულდება, ან შეზღუდვა რომელიმე მიზანს მაინც არ ემსახურება, იგი არამართლზომიერად ჩაითვლება.

როგორც უნდა გადაიჭრას ორ უფლებას შორის კონფლიქტი?

ადამიანის უფლებებს შორის იერარქია არ არსებობს, მაგრამ ზოგჯერ, შესაძლოა, ერთი უფლება შეიზღუდოს სხვათა უფლებ(ებ)ის დასაცავად. ამას უფლებათა შორის კონფლიქტი ეწოდება. ასეთ შემთხვევებში საჭიროა ორ სხვადასხვა უფლებას შორის სამართლიანი ბალანსის დაცვა, რა დროსაც გასათვალისწინებელია შეზღუდვის აუცილებლობა და შესაბამისობა კონკრეტულ კანონიერ მიზანთან.

47 „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილი.

უფლებათა შორის დაპირისპირების ერთ-ერთი კლასიკური მაგალითია კონფლიქტი, ერთი მხრივ, მიმოსვლის თავისუფლებასა და, მეორე მხრივ, შეკრების თავისუფლებას შორის.

განვიხილოთ ტრანსპორტის სავალი გზის გადაკეტვა აქციის დროს: ამ შემთხვევაში, ადამიანების ერთი ნაწილი სარგებლობს შეკრების თავისუფლებით, ხოლო მათ, ვისაც აქციის მონაწილეების მიერ გადაკეტილ გზაზე გავლა ჰქონდათ დაგეგმილი, ფაქტობრივად, ხელი ეშლებათ მიმოსვლაში. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ამ უფლებათაგან, შესაძლოა, ორივე შეიზღუდოს კანონით დადგენილი წესით.

ნებისმიერ შემთხვევაში, ტრანსპორტის სამოძრაო ადგილზე შეკრების თავისუფლების შეზღუდვისას მუნიციპალიტეტის მერიამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს აქციის მონაწილეთა რაოდენობა და გონივრულად შეაფასოს, რამდენად ისარგებლებენ ისინი შეკრების უფლებით გზის გადაკეტვის გარეშე. თუ შეკრებაში ცოტა ადამიანი მონაწილეობს, უპირატესობა მიენიჭება ტრანსპორტის სავალ ნაწილზე მიმოსვლის თავისუფლებას.

გარდა ამისა, მერია ვალდებულია, მიიღოს ზომები, რათა დაიცვას ბალანსი შეკრების თავისუფლებასა და იმ ადამიანების უფლებებს შორის, რომლებიც ცხოვრობენ, მუშაობენ ან კომერციულ საქმიანობას ეწევიან იქ, სადაც შეკრება მიმდინარეობს. ასეთ დროს, მერიამ აქციის ორგანიზატორებს შეიძლება შესთავაზოს ალტერნატიული ვარიანტი - აქციის ჩატარება სხვა ისეთ ადგილას, საიდანაც აუდიტორიას ხმას მიაწვდენენ და, იმავდროულად, სხვის უფლებებს ნაკლებად შეზღუდავენ. თუმცა, თუკი აქცია ორგანიზატორების მიერ შერჩეულ ადგილას მცირე დროით გრძელდება, მერიას არ შეუძლია შეკრების თავისუფლების შეზღუდვა.[48]

3.2. გზის გადაკეტვის უფლება

როდის შეუძლიათ აქციის მონაწილეებს გზის გადაკეტვა?

შეკრების უფლება თავისთავად არ მოიცავს გზის გადაკეტვის უფლებასაც. გზის გადაკეტვა შეიძლება მაშინ გახდეს საჭირო, თუ შეკრებას იმდენად ბევრი ადამიანი ესწრება, რომ მათ ტროტუარი ვერ იტევს. შეკრების მონაწილეებმა არ უნდა გადაკეტონ გზა, როდესაც მათი რაოდენობა მცირეა და ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხება აუცილებელი არ არის.

> გაითვალისწინეთ: **თუ შეკრების მონაწილეთა რაოდენობა აუცილებლად არ მოითხოვს სავალი გზის სრულ ან ნაწილობრივ გადაკეტვას, მერიას შეუძლია, მოითხოვოს ტრანსპორტის სავალი ნაწილის გახსნა. თითოეულ შემთხვევაში, ეს დამოკიდებულია როგორც შეკრების მონაწილეთა რაოდენობაზე, ისე მისი ჩატარების ადგილზე.**

მაგალითი: თუ აქციის მონაწილეები თავისუფლად ეტევიან ტროტუარზე პარლამენტის წინ და ისინი მაინც კეტავენ რუსთაველის გამზირზე ტრანსპორტის სავალ ნაწილს, მაშინ თბილისის მერიას ექნება უფლებამოსილება, უპირატესობა მიანიჭოს გადაადგილების თავისუფლებას და აღადგინოს ტრანსპორტის მოძრაობა. თუ მერია ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებს (მაგალითად, იმიტომ, რომ ეს საჭიროდ არ მიიჩნია), მაშინ ტრანსპორტის მოძრაობის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღება უკვე საქართველოს მთავრობას შეუძლია.[49]

---

48 „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-112 მუხლის მე-4 ნაწილი.

49 „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-111 მუხლის პირველი ნაწილი.

როგორ უნდა მოიქცეს სახელმწიფო, როდესაც მრავალრიცხოვანი აქციის გამო გზა იკეტება?

იმ შემთხვევაში, როდესაც, აქციის მონაწილეთა რაოდენობის გამო, გზის გადაკეტვა გარდაუვალია, სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას შეკრების მონაწილეთა უსაფრთხოება, იმავდროულად, განსაზღვროს ალტერნატიული მარშრუტები სხვა ადამიანების შეუფერხებლად გადასაადგილებლად ან ისეთი აუცილებელი მომსახურების დროულად მისაწოდებლად, როგორიცაა სასწრაფო სამედიცინო ან სახანძრო-სამაშველო სამსახურების დახმარება.

> **გაითვალისწინეთ: საქართველოს კანონმდებლობით იკრძალება ტრანსპორტის სავალი ნაწილის ხელოვნურად, ავტომანქანებით ან სხვადასხვა კონსტრუქციით/საგნით გადაკეტვა, თუ, აქციის მონაწილეების რაოდენობიდან გამომდინარე, ამის აუცილებლობა არ არსებობს.**

3.3. კარვის განთავსების უფლება

შეუძლია თუ არა აქციის მონაწილეს კარვის გაშლა საჯარო სივრცეში?

როდესაც კარვის გაშლის მიზანი პოლიტიკური მოსაზრების გამოხატვაა, იგი დაცულია გამოხატვის თავისუფლებით,[50] მისი შეზღუდვა კი მხოლოდ შესაბამისი წინაპირობების არსებობისას შეიძლება.[51]

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ თავის გადაწყვეტილებაში[52] უკანონოდ მიიჩნია „პარტიზანული მებაღეობის" წევრებისთვის თბილისის მერიის წინ კარვის გაშლაზე უარის თქმა. შესაბამისად, მან მერიას დაავალა, აქტივისტებისთვის ამის შესაძლებლობა მიეცა.[53] მიუხედავად ამისა, ხშირად პოლიციელები აქციის ინიციატორსა თუ მონაწილეებს საჯარო სივრცეში პროტესტის გამოსახატად კარავს არ აშლევინებენ, მეტიც - ამისთვის აჯარიმებენ კიდეც.[54]

> **მაგალითი:** ბექა გრიგორიადისს პოლიციის თანამშრომლები რამდენიმე დღის განმავლობაში არ აძლევდნენ პარლამენტიდან 20 მეტრის მოშორებით მდებარე სკვერში კარვის გაშლის საშუალებას.[55] ამის შესახებ 2023 წლის 2 ივნისს გამართულ სასამართლო პროცესზე შსს-ს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამ სკვერში კარვის განთავსება თბილისის იერსახეს თვითნებურად ცვლიდა, რაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა.[56] თუმცა, 3 ივნისის ღამეს პოლიციის თანამშრომლებს მისთვის ხელი აღარ შეუშლიათ პერმანენტული პროტესტის გამოსახატად კარვის გაშლაში.

---

50 *Frumkin v. Russia*, no. 74568/12, §107, 5 January 2016.

51 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი; იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი.

52 თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება №3/6463-16.

53 იხ. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, აქტივისტების უფლებები შეკრება-მანიფესტაციისას, გვ. 1, ხელმისაწვდომია: *https://shorturl.at/cfgM1* [[ბოლო ნახვა: 28.07.2023]

54 იხ. TV ფორმულა, ჯარიმა საპროტესტო კარვის გაშლის მცდელობის გამო, 2 ივნისი 2023, 20:23 GMT+4, ხელმისაწვდომია: *https://shorturl.at/ikptC* [ბოლო ნახვა: 28.07.2023]

55 ადამიანის უფლებათა ცენტრი, მონიტორინგის ანგარიში ბექა გრიგორიადისის საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: *https://shorturl.at/mqvGL* [ბოლო ნახვა: 28.07.2023]

56 იქვე; იხ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1501-ე მუხლის პირველი ნაწილი.

გაითვალისწინეთ: სკვერსა ან სხვა ასეთ ადგილას კარვის გაშლა, როდესაც ეს პოლიტიკური აზრის გამოხატვას ემსახურება, აქტივისტებს აძლევს საშუალებას, ხელისუფლების წარმომადგენლებს ან სხვა სამიზნე აუდიტორიას ხმა მიაწვდინონ. შესაბამისად, იგი დაცულია გამოხატვის თავისუფლებით და, შესაბამისი საფუძვლის გარეშე, დაუშვებელია მისი შეზღუდვა.

IV. პროცედურული ასპექტები

ამ თავში ვისაუბრებთ აქციის ორგანიზებისას მერიაში გაფრთხილების შეტანაზე, ასევე, შეკრების მარწმუნებლისა და ორგანიზატორის ვალდებულებებზე, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ აქციის კანონიერად ჩატარება. ბოლოს კი, განვიხილავთ, როგორ უნდა მოითხოვონ მოქალაქეებმა ანაზღაურება, თუ შეკრებისას რამე ზიანი მიადგათ.

4.1. გაფრთხილება ტრანსპორტის სავალ ადგილზე შეკრების გამართვის შემთხვევაში

როდის უნდა გააფრთხილოს შეკრების ორგანიზატორმა მერია აქციის ჩატარებაზე?

თუკი საპროტესტო აქციაში მონაწილეობას მიიღებს იმდენი ადამიანი, რომ საჭირო იქნება ტრანსპორტის სავალი ნაწილის დაკავება, აუცილებელია 5 დღით ადრე მერიაში გაფრთხილების შეტანა.

გაფრთხილების წარდგენა აუცილებელი არ არის, როდესაც შეკრება იმართება ტრანსპორტის სავალ ადგილზე, მაგრამ, მაგალითად, გზის რეაბილიტაციის ან სხვა მიზეზის გამო, იქ ტრანსპორტი არ მოძრაობს.

გაითვალისწინეთ: იმისთვის, რომ ტრანსპორტის სავალ ნაწილზე შეკრება იყოს კანონიერი, აუცილებელია ამის შესახებ 5 კალენდარული დღით ადრე მერიაში გაფრთხილების შეტანა.[57]

ვინ შეიძლება იყოს შეკრების ინიციატორი?

შეკრებას უნდა ჰყავდეს ინიციატორი. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონით მას „მარწმუნებელი” ეწოდება. მარწმუნებელი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, პოლიტიკური პარტია, არასამთავრობო ორგანიზაცია, აქტივისტთა ჯგუფი ან სხვა.

57 ქართული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ტრანსპორტის სავალ ნაწილზე შეკრების ჩატარების შესაძლებლობას 5 დღით ადრე გაფრთხილების გარეშე (სპონტანური დემონსტრაცია). საკონსტიტუციო სასამართლომ 2002 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებაში №2/2/180-183 და 2010 წლის 10 ნოემბრის №4/482,483,487,502 საოქმო ჩანაწერში აღნიშნა, რომ კონსტიტუცია არ იცავს ადამიანის უფლებას, შეკრება ჩაატაროს ტრანსპორტის სავალ ადგილას წინასწარი გაფრთხილების გარეშე. თუმცა, სასამართლოს პლენუმმა 2022 წლის 4 ნოემბერს მიიღო №3/12/1635 საოქმო ჩანაწერი საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, რომლის საფუძველზეც, ის კიდევ ერთხელ იმსჯელებს, რამდენად იცავს საქართველოს კონსტიტუცია სპონტანური დემონსტრაციის უფლებას.

რას გულისხმობს მერიის გაფრთხილების პროცესი?

შეკრებას ჰყავს რწმუნებული, რომელიც არის მარწმუნებლის ნდობით აღჭურვილი პირი. რწმუნებულს ევალება მარწმუნებლის სახელით გაფრთხილების ტექსტის შედგენა და მერიაში შეტანა (იხ. გაფრთხილების და რწმუნების ნიმუშები: დანართი №1 და დანართი №2). მარწმუნებლისა და რწმუნებულის გარდა, შეკრებას ასევე ჰყავს ორგანიზატორი. შესაძლებელია, ორგანიზატორი და რწმუნებული იყოს ერთი და იგივე ან სხვადასხვა ადამიანი. თუ რწმუნებული და ორგანიზატორი სხვადასხვა პირია, მერიაში შეტანილ გაფრთხილებას ხელი უნდა მოაწეროს როგორც რწმუნებულმა, ისე ორგანიზატორმა.

რა ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ მერიას?

- შეკრების ან მანიფესტაციის ფორმა (სტატიკური აქცია ჩატარდება თუ მსვლელობა გაიმართება, იქნება თუ არა მიტინგზე სიტყვით გამოსვლა);
- შეკრების ან მანიფესტაციის მიზანი (რა მოთხოვნები აქვთ აქციის მონაწილეებს, რას უცხადებენ სოლიდარობას ან პროტესტს);
- შეკრების ჩატარების ადგილი (სად გაიმართება აქცია - უნდა მიეთითოს მისამართი, მათ შორის, ტრანსპორტის სავალი ნაწილი, მაგალითად: ქალაქი თბილისი, რუსთაველის გამზირი №8, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია);
- მანიფესტაციის სვლაგეზი (მსვლელობის დროს უნდა იყოს მითითებული მისი დაწყებისა და დასრულების ადგილი, მაგალითად: თბილისი, ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიიდან პარლამენტამდე - კოსტავასა და რუსთაველის გამზირზე, ტრანსპორტის სავალ ნაწილზე);
- შეკრების დაწყებისა და დასრულების თარიღი და დრო (მაგალითად, 2023 წლის 25 ივნისი, 16:00-იდან 18:00 საათამდე);
- ვინ არის შეკრების ან მანიფესტაციის ინიციატორი (პარტია, არასამთავრობო ორგანიზაცია, აქტივისტების ჯგუფი თუ სხვა);
- რწმუნებულისა და ორგანიზატორის სახელი და გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი, გაფრთხილების შეტანის თარიღი და დრო.

გაფრთხილება უნდა ჩაბარდეს მერიის კანცელარიას, რომლის თანამშრომელიც გაფრთხილების ასლზე აწერს მისი ჩაბარების თარიღსა და დროს. სწორედ ამ მომენტიდან აითვლება 5-დღიანი ვადა აქციის ჩასატარებლად.

გაფრთხილებას თან უნდა ერთოდეს რწმუნების დოკუმენტი. ეს არის პარტიის, არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან აქციის სხვა ინიციატორის მიერ კონკრეტული ადამიანისთვის მინიჭებული უფლებამოსილება, გაფრთხილება მერიაში შეიტანოს. რწმუნება იწერება იურიდიული პირების ტიტულიან ფურცელზე და მას უნდა ახლდეს იმ იურიდიული პირის ხელმძღვანელის ხელმოწერა, რომელიც შეკრების ინიციატორია. თუ ინიციატორი რამდენიმე ადამიანია, შესაძლებელია ამგვარი რწმუნების სანოტარო წესით დამოწმებაც. რწმუნებაში აღნიშნული უნდა იყოს, რომ კონკრეტულ პირს ენიჭება უფლებამოსილება, როგორც რწმუნებულმა, შეიტანოს მუნიციპალიტეტის მერიაში გაფრთხილება აქციის ჩატარების შესახებ.

4.2. ორგანიზატორების ვალდებულებები

რა ევალება შეკრების ორგანიზატორს?

ორგანიზატორს აქციის ხელმძღვანელობის უფლებამოსილება აქვს. მას ეკისრება ვალდებულება, მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რომ აქციის მონაწილეებმა კანონი არ დაარღვიონ.

> **მაგალითი:** თუ მონაწილეები აქციაზე შეკრებილებს კონსტიტუციური წყობილების დამხობის, შუღლის გაღვივებისა ან სხვა მსგავსი მოწოდებებით მიმართავენ, ორგანიზატორი ვალდებულია, გაემიჯნოს და აღკვეთოს მათი ქმედება. ასევე, ის უნდა დარწმუნდეს, რომ ადამიანებს თან არ ჰქონდეთ ფეთქებადი ნივთიერებები, ცეცხლსასროლი იარაღი და სხვა აკრძალული საგნები. თუ აქციის მონაწილეთა რაოდენობა არ მოითხოვს ტრანსპორტის სავალი ნაწილის გადაკეტვას, ორგანიზატორმა აქციის მონაწილეებს ტროტუარზე გადასვლა უნდა სთხოვოს. გარდა ამისა, მან უნდა იზრუნოს, რომ სავალი გზა არ ჩაიხერგოს სხვადასხვა კონსტრუქციით. ამასთანავე, ორგანიზატორმა არ უნდა დაუშვას აქციის მონაწილეების მიერ ისტორიული, არქეოლოგიური, არქიტექტურული და სამეცნიერო მნიშვნელობის შენობების, მემორიალისა თუ ძეგლის ბლოკირება, დაზიანება ან დამახინჯება.

შეიძლება თუ არა ორგანიზატორი დაჯარიმდეს ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის?

დიახ, შეკრების ორგანიზატორის მიერ კანონის მოთხოვნების შეუსრულებლობა პირველად ისჯება 500-ლარიანი ჯარიმით, ხოლო ერთი წლის განმავლობაში ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა - 5000 ლარით.[58]

4.3. გასაჩივრება და ზიანის ანაზღაურება

შეიძლება თუ არა დაშლის ან შეკრების უფლების შეზღუდვის გასაჩივრება?

დიახ, შეკრებისა და მანიფესტაციის შეწყვეტის ან უფლების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

რა ვადაში განიხილება სარჩელი?

შეკრებისა და მანიფესტაციის დაშლის ან სხვა ფორმით შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება სასამართლოში საჩივრდება. საქალაქო (რაიონული), სააპელაციო და უზენაესი სასამართლოები - თითოეული სამი დღის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას შეკრების შეზღუდვის/დაშლის კანონიერებასთან დაკავშირებით.[59]

ვის შეუძლია სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვა?

შეკრების შეწყვეტის შესახებ სასამართლოსთვის მიმართვა ორგანიზატორებს შეუძლიათ შეკრების შეწყვეტის ან მისი სხვაგვარად შეზღუდვის კანონიერების დასადგენად. ამასთანავე,

58 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1741-ე მუხლის პირველი ნაწილი.

59 „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-7 ნაწილი.

სასამართლოში დავის უფლება აქვს ნებისმიერ სხვა ადამიანსაც, რომელმაც პირდაპირი და უშუალო ზიანი განიცადა შეკრების უკანონოდ დაშლის ან შეკრების უფლების უკანონოდ შეზღუდვის შედეგად. ესენი არიან პირები: რომლებიც პოლიციამ გზის სავალი ნაწილიდან ტროტუარზე იძულებით გადაიყვანა; რომელთა დასაშლელადაც გამოიყენეს სპეციალური საშუალებები; რომლებიც შეკრებაზე სიტყვით გამოსვლის ან ტრანსპარანტის შინაარსის გამო დააკავეს; რომლებსაც ჩამოართვეს საპროტესტო აქციაზე დადგმული კარავი.

ვისგან და რა წესით ანაზღაურდება შეკრების მსვლელობისას მიყენებული ზიანი?

შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებისას ადამიანებისთვის მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს.[60] თუ სახელმწიფო მოხელე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს კანონს, სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) ან ამ დამრღვევი პირის დამსაქმებელი სახელმწიფო უწყება ვალდებულია, მიყენებული ზიანი აანაზღაუროს.[61]

მაგალითად, თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელმა მშვიდობიანი აქციის მონაწილეს სახის არეში დამიზნებით, ახლო მანძილიდან ესროლა რეზინის ტყვია, რითაც მას მხედველობა დაუზიანა, ამ შემთხვევაში პოლიციელი მოქმედებდა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით. დაზარალებულის მკურნალობის ხარჯები, ისევე, როგორც მორალური ზიანი, შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა აანაზღაუროს. სარჩელიც სასამართლოში ზიანის მიმყენებელი პოლიციელის დამსაქმებლის - შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ იქნება შეტანილი.

> **მაგალითი:** 2019 წლის 20-21 ივნისს საპროტესტო აქციის მშვიდობიან მონაწილეს, რომელიც ცრემლსადენი გაზით მოწამლულ ადამიანებს ეხმარებოდა, პოლიციელის მიერ გასროლილი რეზინის ტყვია მოხვდა თვალ-წარბის არეში, რის შედეგადაც მხედველობა დაკარგა. მისთვის რამდენიმე სამედიცინო პროცედურის ჩატარება გახდა საჭირო. სამედიცინო ექსპერტიზამ კი დაადგინა, რომ აქციის მონაწილის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი სხეულის მძიმე დაზიანებას მიეკუთვნებოდა და იყო სიცოცხლისთვის სახიფათო.[62]

აქციის მონაწილემ თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა სარჩელი შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ და მოითხოვა როგორც ქონებრივი, ისე მორალური ზიანის ანაზღაურება. თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა: შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 30 000 ლარის ოდენობით, ხოლო შრომისუნარიანობის შემცირების გამო, ამავე უწყებამ მას ყოველთვიურად უნდა გადაუხადოს 1115 ლარი (ყოველთვიური სარჩო) 2020 წლის 21 ივნისიდან მოსარჩელის გარდაცვალებამდე.[63]

---

60 „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი.

61 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილი.

62 იხ. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, 2019 წლის 20-21 ივნისს განვითარებული მოვლენების შედეგად დაზარალებული პირის სასარგებლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს ზიანის ანაზღაურება დაევალა, ხელმისაწვდომია: *https://shorturl.at/jpxT3* [ბოლო ნახვა: 28.07.2023]

63 იქვე.

რა ოდენობის მორალური ზიანის ანაზღაურების მიღებაა შესაძლებელი უკანონო ადმინისტრაციული დაკავების შემთხვევაში?

მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი შეიძლება იყოს შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილის უკანონო ადმინისტრაციული დაკავება. ამისთვის საჭიროა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელის შეტანა. ანაზღაურების ოდენობა დამოკიდებულია უკანონო დაკავების ხანგრძლივობაზე. უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, უკანონო დაკავებისთვის მორალური ზიანის ოდენობა შეიძლება იყოს 70-იდან 150 ლარამდე.[64]

V. კანონსაწინააღმდეგო შეკრებების დაუშვებლობა, შეკრების მონაწილეთა პასუხისმგებლობის შესაძლო საფუძვლები და უფლებები

ეს თავი მიმოიხილავს იმ აკრძალვებს, რომლებიც ვრცელდება შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებსა და ორგანიზატორებზე, კერძოდ: რომელი საგნების ტარებაა აკრძალული აქციების მიმდინარეობისას; რა ქმედებები შეიძლება ჩაითვალოს სისხლის სამართლის დანაშაულად ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად; რა უფლებები აქვს ადამიანს ადმინისტრაციული დაკავებისას; რის საფუძველზე შეიძლება აქციის დაშლა სპეციალური საშუალებების გამოყენებით და რა გზით შეიძლება თავის დაცვა ასეთ დროს.

5.1. რა უფლებები არ გაგვაჩნია

რა ნივთები არ უნდა ჰქონდეს აქციის მონაწილეს?

საქართველოს კონსტიტუციით დაცულია უიარაღო შეკრების უფლება. აქციებზე დაუშვებელია შემდეგი საგნებისა და ნივთიერებების მიტანა:

აკრძალული საგნები და ნივთიერებები	
• ცეცხლსასროლი იარაღი • ცივი იარაღი • ფეთქებადი, ადვილაალებადი, რადიოაქტიური ნივთიერებები • ცრემლსადენი, ნერვულ-პარალიტიკური მოქმედების ან/და მომწამვლელი ნივთიერება • ალკოჰოლიანი სასმელი	• ისეთი საგანი ან ნივთიერება, რომელიც გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებული იყოს აქციის მონაწილეთა ან სხვა ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების მიზნით

ჩამოთვლილი საგნებისა და ნივთიერებების შეკრებაზე მიტანის აკრძალვის მიზანია აქციის მონაწილეებისა და სხვა ადამიანების უსაფრთხოების დაცვა, ასევე, შეკრების მშვიდობიანი

64 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება №ბს-222(კ-20).

ჩატარება. მათი გამოყენება საშიშია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის. ამასთანავე, ზოგიერთი მათგანი - მაგალითად, რადიოაქტიური ნივთიერებები - ამოღებულია სამოქალაქო ბრუნვიდან და მათი ტარება სისხლის სამართლის დანაშაულია.

რა ტიპის მოწოდებები არ დაიშვება აქციაზე?

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" კანონი ასევე აწესებს კონკრეტულ აკრძალვებს შეკრების დროს გაკეთებულ განცხადებებთან დაკავშირებით. მაგალითად, დაუშვებელია მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობისა ან ძალადობით შეცვლისკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისკენ, ასევე მიმართვა, რომელიც ომისა და ძალადობის პროპაგანდაა, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს და ქმნის ჩამოთვლილი ქმედებების ჩადენის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.[65]

აღსანიშნავია, რომ „საქვეყნოდ მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისაკენ ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ", თავისთავად, განეკუთვნება სისხლის სამართლის კოდექსის 317-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს. შესაბამისად, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" კანონი ამ ჩანაწერს იმეორებს. ამ დანაშაულისთვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ვადით.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება ძალადობისკენ საჯარო მოწოდება, რაც გულისხმობს ეროვნული, კუთხური, რელიგიური თუ სოციალური ნიშნით განსხვავებულ ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოგდებისკენ მიმართულ განცხადებებს, თუ ეს ქმნის ძალადობრივი ქმედების ჩადენის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს. [66]

რა შემთხვევაში შეიძლება ადამიანის პასუხისგებაში მიცემა აქციაზე გაკეთებული განცხადებების გამო?

ზემოთ დასახელებული მოწოდებები მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს დანაშაული, როდესაც იქმნება ძალადობის აშკარა, პირდაპირი და არსებითი საფრთხე. ასეთი საფრთხის არსებობა პროკურატურამ „გონივრული ეჭვის მიღმა" (მტკიცების სტანდარტი) უნდა დაამტკიცოს. სხვა შემთხვევაში, სასამართლო გამოიტანს გამამართლებელ განაჩენს.

ამ წინაპირობის დაწესებით, კანონი უზრუნველყოფს ბალანსს დანაშაულის თავიდან აცილების ინტერესსა და გამოხატვის თავისუფლებას შორის. შეკრებების დროს გამოხატვის თავისუფლების შესაზღუდად აუცილებელია, მოწოდება უშუალოდ აღძრავდეს სიძულვილს და არსებობდეს დიდი ალბათობა, რომ ის მართლაც, აშკარად გამოიწვევს ძალადობას. ამისთვის, შესაძლოა, მნიშვნელობა ჰქონდეს, მათ შორის, იმას, რამდენად დიდი გავლენა აქვს მოწოდების ავტორს აქციის მონაწილეებზე. ის კი, რამდენად არიან მზად აქციის მონაწილეები, მოწოდების შემთხვევაში იძალადონ, პროკურატურის დასამტკიცებელია.

ანალოგიურად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის შემთხვევაში, სწორედ სახელმწიფომ უნდა დაასაბუთოს, რომ პირმა ნამდვილად ჩაიდინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

---

65 „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი ნაწილი.

66 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239[1]-ე მუხლი.

5.2. რა უნდა ვიცოდეთ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას

მშვიდობიანი შეკრებების მონაწილეთა მიმართ უფრო ხშირად გამოიყენება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და არა სისხლის სამართლის კანონმდებლობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, რა შეიძლება გახდეს ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების საფუძველი, რა უფლებები აქვთ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ ადამიანებს და რა პრაქტიკული რჩევები შეიძლება გაითვალისწინონ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას.

რა ტიპის ადმინისტრაციული სახდელები არსებობს?

შეკრების მიმდინარეობისას ხშირია ადმინისტრაციული წესით დაკავება. ასევე შესაძლებელია, პოლიციის თანამშრომელმა აქციის მონაწილის დაკავების გარეშე შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელსაც იგი აგზავნის სასამართლოში. ამის შემდეგ მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს, ჩაიდინა თუ არა შეკრების მონაწილემ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. თუკი დადგინდება, რომ მას სამართალდარღვევა არ ჩაუდენია, საქმის წარმოება შეწყდება. სხვა შემთხვევაში, შეკრების მონაწილეს დაეკისრება ჯარიმა ან პატიმრობა 15 დღემდე ვადით. ჯარიმის ოდენობა მერყეობს 500-იდან 4 500 ლარამდე, რაც დამოკიდებულია შემდეგ გარემოებებზე: რა სამართალდარღვევა ჩაიდინა ადამიანმა, ეს სამართალდარღვევა ჩაიდინა პირველად თუ განმეორებით (ერთი წლის განმავლობაში), არსებობს თუ არა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებები. შესაძლოა, სასამართლომ აქციის მონაწილე ცნოს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად, მაგრამ მისი ქმედება ჩათვალოს მცირე მნიშვნელობის მქონე საზიანო ქმედებად. ამ შემთხვევაში, გამოცხადდება მხოლოდ ზეპირი შენიშვნა - ჯარიმისა და პატიმრობის დაკისრების გარეშე. ეს ზომა არ გამოიყენება, თუ ადამიანი განმეორებით ჩაიდენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

რა სახის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში ადანაშაულებენ შეკრების მონაწილეებს ყველაზე ხშირად?

პოლიციელები აქციის მონაწილეების მიმართ ხშირად იყენებენ ორ საფუძველს. ესენია: სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობა,[67] ე.ი. პოლიციელის კანონიერი მოთხოვნის შესრულებაზე უარის თქმა, ან სიტყვიერი თუ სხვაგვარი შეურაცხყოფის მიყენება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისთვის.

აქციის მონაწილეებს ასევე ხშირად აძლევენ პასუხისგებაში წვრილმანი ხულიგნობისთვის, რაც განიმარტება, როგორც „საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება, ან სხვაგვარი ქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს".[68] თუ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთის ნიშნები მაინც არ იკვეთება, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელს არ აქვს უფლებამოსილება, დააკავოს აქციის მონაწილე წვრილმანი ხულიგნობის ჩადენისთვის, ანდა ამ საფუძვლით შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

შეიძლება პოლიციის თანამშრომლებმა აქციის მონაწილეები უკანონოდ დააკავონ წვრილმანი ხულიგნობის ანდა პოლიციის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობისთვის. როგორც უკვე

67 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი.

68 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი.

ითქვა, სამართალდარღვევად მიიჩნევა მხოლოდ კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა. თუ პოლიციელების მოთხოვნა უკანონოა, დაკავება ან სამართალდარღვევის ოქმის შედგენა კანონსაწინააღმდეგო იქნება. შესაბამისად, სასამართლომ საქმის წარმოება უნდა შეწყვიტოს.

ასევე, თუ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები მშვიდობიანი შეკრების დაშლას მოითხოვენ,[69] აქციის მონაწილეები კი ამ მოთხოვნას არ დაემორჩილებიან, სასამართლომ ეს შემთხვევა სამართალდარღვევად არ უნდა შეაფასოს, რადგან პოლიციის მიერ მშვიდობიანი აქციის დაშლის მოთხოვნა უკანონოა.

რაც შეეხება წვრილმან ხულიგნობას, აქციის მონაწილეთა დაკავებისას ამ სამართალდარღვევაზე უსაფუძვლოდ მითითების მაგალითია 2023 წლის 2 ივნისს პარლამენტის წინ შეკრებილი აქტივისტების დაკავება ცარიელი ფურცლების ხელში დაჭერის გამო.[70] ცხადია, ცარიელი ფურცლების გამოფენა არ არის უცენზურო ლანძღვა-გინება და ვერც სხვა ისეთ ქმედებად ჩაითვლება, რომელიც წვრილმანი ხულიგნობის განმარტებას შეესაბამება. ამიტომ, ეს შემთხვევა წვრილმან ხულიგნობად არ უნდა შეფასებულიყო.[71] იმ შემთხვევაშიც კი, თუ პლაკატსა ან ბანერზე უხამსობა წერია, ეს დაცულია გამოხატვის თავისუფლებით.[72]

რა შემთხვევაში შეიძლება დააკავონ პირი ადმინისტრაციული წესით?

კანონმდებლობა ამომწურავად განსაზღვრავს იმ მიზნებს, რომელთა მისაღწევადაც დასაშვებია ადამიანის ადმინისტრაციული წესით დაკავება:

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღკვეთა - როცა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღმოფხვრა შეუძლებელია დაკავებაზე უფრო მსუბუქი იძულების ღონისძიებებით;
- მოქალაქის ვინაობის დადგენა;
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა, თუ ეს აუცილებელია, მაგრამ ადგილზე შედგენა შეუძლებელია;

---

69 მაგალითად, 2023 წლის 7-9 მარტის აქციების მიმდინარეობისას შეკრების მონაწილეებს დაშლისკენ მოუწოდებდნენ. თუმცა, ვინაიდან შეკრება მშვიდობიანად მიმდინარეობდა, არ არსებობდა მისი დაშლის საფუძველი. ამიტომ, ეს მოთხოვნა უკანონო იყო და, კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობის საფუძვლით მონაწილეთა დაკავებით, სამართალდამცავებმა თავად იმოქმედეს კანონსაწინააღმდეგოდ. აქედან გამომდინარე, იმთავითვე უკანონო იყო ბრძანება სპეციალური საშუალებების გამოყენების გზით აქციის დაშლის შესახებ, რადგან, იმის მიუხედავად, რომ, შესაძლოა, ზოგიერთი მონაწილის ქმედება სცდებოდა შეკრების თავისუფლებით დაცულ ფარგლებს, აქცია, საერთო ჯამში, მშვიდობიანად მიმდინარეობდა.

70 მიხეილ გვაძაბია, პარლამენტთან პოლიციამ აქტივისტებს პლაკატები წაართვა და რამდენიმე მათგანი დააკავა, 2 ივნისი, 2023, ნეტგაზეთი, ხელმისაწვდომია: *https://shorturl.at/NUV14* [ბოლო ნახვა: 19.07.2023]; იხ. ასევე: რადიო თავისუფლება, პოლიციამ GDI-ს თავმჯდომარე პარლამენტთან ცარიელი ფურცლის დაჭერის გამო დააკავა, 3 ივნისი, 2023, ხელმისაწვდომია: *https://shorturl.at/hylMY* [ბოლო ნახვა: 19.07.2023].

71 გამოხატვის თავისუფლება იცავს, მათ შორის, ისეთ გამოხატვას, რომელიც, შესაძლოა, ზოგიერთი ადამიანისთვის შოკისმომგვრელი, გამაღიზიანებელი ანდა შეურაცხმყოფელი იყოს. იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ნატა ფერაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (*Peradze and Others v. Georgia*, no. 5631/16, 15 December 2022), რომელშიც სასამართლომ დაადგინა, რომ შეკრების მონაწილის „უხამსი" ბანერის გამო დაკავება არღვევდა შეკრების თავისუფლებას (კონვენციის მე-11 მუხლი, გამოხატვის თავისუფლების (კონვენციის მე-10 მუხლი) ჭრილში).

72 იხ. *Peradze and Others v. Georgia*, no. 5631/16, §47, 15 December 2022.

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის დროულად და სწორად განხილვა და ამ საქმეზე მიღებული დადგენილების აღსრულების უზრუნველყოფა.[73]

დასახელებული მიზნები ადმინისტრაციული დაკავების ლეგიტიმურობას განსაზღვრავს არა მხოლოდ უშუალოდ დაკავების მომენტში, არამედ თავისუფლების შეზღუდვის სრული პერიოდის განმავლობაშიც. შესაბამისად, აუცილებელია, ადმინისტრაციული დაკავება ემსახურებოდეს კანონით გათვალისწინებულ მიზანს ადამიანის დაკავების მომენტიდან მის გათავისუფლებამდე. ამ მიზნის მიღწევისთანავე კი დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. [74]

ყველა დაკავებული ადამიანი აუცილებლად უნდა წარდგეს სასამართლოში პირველი შესაძლებლობისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა. მტკიცებულების მოპოვების მიზნით, შესაძლოა, ეს ვადა კიდევ 24 საათით გახანგრძლივდეს სამართალდამცავი ორგანოების მოთხოვნის საფუძველზე.

> **გაითვალისწინეთ: დაკავებიდან 24 საათის შემდეგ, დაკავების ვადის გახანგრძლივებისას, დაკავებულმა სამართალდამცავებისგან აუცილებლად უნდა მოითხოვოს წერილობითი დასაბუთება, რატომ გახდა ეს საჭირო. ასეთი დასაბუთების არარსებობისას, პირი უკანონოდ დაკავებულად მიიჩნევა და დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. იმავდროულად, ასეთ შემთხვევაში, მას უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება[75] (იხ. თავი 4.3.).**

რისი უფლება აქვს დაკავებულს?

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც პოლიციის თანამშრომლები აშკარად არღვევენ დაკავების პროცედურას. ამიტომ, მნიშვნელოვანია, აქციის მონაწილემ იცოდეს, რა უფლებები გააჩნია ადმინისტრაციული წესით დაკავებისას:

- ადმინისტრაციული დაკავების დროს პოლიციელი ვალდებულია, პირს დაკავებისთანავე გასაგები ფორმით განუმარტოს:

  a) მის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და დაკავების საფუძველი;

  b) უფლება ადვოკატზე;

  c) უფლება, მისი სურვილის შემთხვევაში, დაკავების ფაქტი და ადგილსამყოფელი ეცნობოს ახლობელს, ასევე მისი სამუშაო ან სასწავლო ადგილის ადმინისტრაციას.

- ის განცხადება, რომელიც ადამიანმა გააკეთა მანამ, სანამ დაკავების საფუძვლებს განუმარტავდნენ, დაუშვებელი მტკიცებულებაა;
- პოლიციელმა დაკავებული უნდა გადაიყვანოს პოლიციის უახლოეს დაწესებულებასა ან სხვა სამართალდამცველ ორგანოში;
- ადმინისტრაციული დაკავების შესახებ შედგება ადმინისტრაციული დაკავების ოქმი, რომელშიც აღინიშნება:

---

73 აქტივისტების უფლებები შეკრება-მანიფესტაციისას, supra n. 53, გვ. 2.

74 იქვე.

75 იქვე, გვ. 3.

- ოქმის შედგენის თარიღი და ადგილი;
- ოქმის შემდგენის თანამდებობა, სახელი და გვარი;
- ცნობები დაკავებულის შესახებ;
- დაკავების დრო და საფუძველი.

- ოქმს ხელს აწერენ მისი შემდგენი თანამდებობის პირი და დაკავებული. თუ დაკავებული უარს აცხადებს ხელმოწერაზე, ამის შესახებ ოქმში უნდა მიეთითოს.[76]

> გაითვალისწინეთ: ზოგჯერ პოლიციელებს აქციის მონაწილეების შეჩერებისას არ აცვიათ სამსახურებრივი ფორმა. ასეთ დროს აქციის მონაწილეს უფლება აქვს, მას მოსთხოვოს სამსახურებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა, რათა დარწმუნდეს, რომ ნამდვილად სამართალდამცავს ესაუბრება.[77] პოლიციის თანამშრომელთან საუბრის დაწყებისას აქციის მონაწილეს უფლება აქვს:
>
> — გაარკვიოს მისი ვინაობა;
>
> — არსებობის შემთხვევაში, მოსთხოვოს პოლიციელს სამხრე კამერის ჩართვა;
>
> — თავად გადაიღოს საუბარი (პოლიციელს არ აქვს უფლება, სათანადო საფუძვლისა და დასაბუთების გარეშე, შეუზღუდოს გადაღების უფლება).[78]
>
> სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მხრიდან კანონმდებლობის დარღვევის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად დაუკავშირდით სახალხო დამცველს ცხელ ხაზზე: 1481.

5.3. შეკრების დაშლა სპეციალური საშუალებების გამოყენებით

საქართველოს კანონმდებლობა სპეციალური საშუალებების გამოყენების შესაძლებლობას ითვალისწინებს, მათ შორის, ისეთი აქციების დასაშლელად, რომლებიც კონსტიტუციით დაცული შეკრების უფლების ფარგლებს სცდება. თუმცა, ეს უკიდურესი ზომაა, რომლის გამოყენებაც მხოლოდ განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევაში (როგორც *ultima ratio*) და თანაზომიერების პრინციპის დაცვით შეიძლება.

რა არის სპეციალური საშუალება?

„პოლიციის შესახებ" კანონში ჩამოთვლილია სპეციალური (როგორც პასიური, ისე აქტიური) საშუალებები, რომლებიც აქციის დასაშლელად შსს-ს არაერთხელ გამოუყენებია, მაგალითად: ცრემლსადენი გაზი, წიწაკის გაზი, არალეტალური ჭურვი (რეზინის ტყვიები), წყალსატყორცნი სატრანსპორტო საშუალება, ხელბორკილი, სპეციალური ხელკეტი.[79] სპეციალური საშუალებები არის იძულების ერთ-ერთი ზომა, რომელიც პოლიციის თანამშრომლებმა უნდა გამოიყენონ

76 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლი.

77 იხ. აქტივისტების უფლებები შეკრება-მანიფესტაციისას, supra n. 53, გვ. 1.

78 იქვე.

79 „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში და იმ ინტენსივობით, რომელიც კანონიერი მიზნის მიღწევას უზრუნველყოფს.[80] ამასთანავე, ამ საშუალებების გამოყენებამდე პოლიციელს უნდა ჰქონდეს გავლილი სპეციალური მომზადება.[81]

აქციის დროს სპეციალური საშუალებების გამოყენებამდე პოლიციამ მონაწილეებს უნდა მისცეს გონივრული ვადა კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად (მაგალითად, თუ არ არსებობს შეკრების დაშლის საფუძველი, ბრძანება დაშლის შესახებ იმთავითვე უკანონოა); გამონაკლისია მხოლოდ ისეთი შემთხვევები, როდესაც სპეციალური საშუალებების გამოყენების დაგვიანებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას პოლიციელის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ან გამოიწვიოს სხვა მძიმე შედეგი, ასევე, თუ გაფრთხილება არის გაუმართლებელი ან შეუძლებელი.[82]

როგორ და რა დროს უნდა გამოიყენონ სამართალდამცავებმა სპეციალური საშუალებები?

თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს, რამდენად ინტენსიური შეიძლება იყოს გამოსაყენებელი ღონისძიება - ეს დამოკიდებულია, მათ შორის, სამართალდარღვევის ხასიათსა და სამართალდამრღვევის თავისებურებებზე.[83] პოლიციელი აუცილებლად უნდა ეცადოს, რომ მიყენებული ზიანი იყოს მინიმალური და თანაზომიერი.[84] მეტიც, კანონმდებლობა პოლიციელებს ავალდებულებს, პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინონ მათ, ვინც დაზიანდნენ სპეციალური საშუალებების გამოყენების შედეგად.[85] დაუშვებელია პოლიციის მხრიდან ისეთი საშუალების გამოყენება, რომელსაც შეუძლია ადამიანის დასახიჩრება, დაკავშირებულია გაუმართლებელ რისკებთან, ან აკრძალულია.[86]

პოლიციელები სპეციალურ საშუალებებს ყველაზე ხშირად იყენებენ მაშინ, როდესაც ასრულებენ აქციის დაშლის ბრძანებას და იღებენ სპეციალური საშუალებების გამოყენების ნებართვას. თუ საპროტესტო აქცია ძალადობაში გადაიზარდა და აქციის მონაწილეები არიან შეიარაღებულნი, შესაძლოა, სამართალდამცავმა ორგანოებმა შეკრების დასაშლელად მართლაც გამოიყენონ ეს საშუალებები, როგორც უკიდურესი ზომა, პროპორციულობის დაცვით. თუმცა, აქციის ცალკეული მონაწილეების ძალადობრივი ანდა დანაშაულებრივი ქმედება არ უნდა გაიგივდეს აქციის შინაარსსა ან მის ბუნებასთან. თუკი მხოლოდ ერთი ან რამდენიმე მონაწილის ქმედებაში ვლინდება სავარაუდო დანაშაულის ნიშნები, სამართალდამცავი ორგანოები მას ინდივიდუალურად უნდა მიუდგნენ; დაუშვებელია დანარჩენი მშვიდობიანი მონაწილეების დაშლა ანდა მათდამი ძალის გამოყენება, თუ ისინი უშუალოდ არ ყოფილან ჩართულნი კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში. მეტიც, დაუშვებელია აქციის არათუ დაშლა, არამედ მისი დაშლის მოთხოვნაც კი, როდესაც, აქციის ცალკეული მონაწილეების ქმედებებისგან დამოუკიდებლად, შეკრება მშვიდობიანად მიმდინარეობს.

80 იქვე, 31-ე მუხლის პირველი ნაწილი.

81 იქვე, 31-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

82 იქვე, 31-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

83 იქვე, 31-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

84 იქვე.

85 იქვე, 31-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

86 იქვე, 31-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

5.4. როგორ დავიცვათ თავი სპეციალური საშუალებების გამოყენების დროს

ვინაიდან საქართველოში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სპეციალური საშუალებების არაპროპორციული გამოყენების არაერთი შემთხვევა გამოვლინდა,[87] საჭიროა აქციაზე ისეთი ნივთების ქონა, რომლებიც აქციის მონაწილეებს დაეხმარება, მაქსიმალურად აირიდონ ფიზიკური ზიანი ან/და გაუმკლავდნენ მიყენებულ ტკივილს. ასეთებია, მაგალითად: პირველადი დახმარების საშუალებები, პირბადე, ცრემლსადენი გაზისგან დამცავი სათვალე, წყალი და სხვ. ცრემლსადენ გაზთან კონტაქტის შემთხვევაში, აუცილებელია დაუყოვნებლივ თვალების წყლით ამობანა.[88] აქციების დროს უმჯობესია ისეთი სამოსის ჩაცმა, რომელიც კანის ნაკლებ ზედაპირს დატოვებს ღიას. მაგალითად, გრძელმკლავებიანი მაისური, რომელიც, შესაძლოა, ადამიანს მომწამლავი ნივთიერებებისგან დაზიანების თავიდან არიდებაში დაეხმაროს. ასევე, რეკომენდებულია კომფორტული ფეხსაცმლის ჩაცმა, რომელიც გაამარტივებს გრძელ მანძილზე სიარულს ან, საჭიროების შემთხვევაში, სირბილს. უმჯობესია, მობილური ტელეფონები იყოს სრულად დატენილი და, ასევე, აქციის მონაწილეს თან ჰქონდეს პორტატიული დამტენი. უსაფრთხოებისთვის, მობილურ ტელეფონებზე უნდა გამოირთოს Face ID და Touch ID პარამეტრები და ჩართული იყოს Airplane Mode.

რა სპეციალური რეგულაციები არსებობს აქციებზე ჟურნალისტებისთვის?

ჟურნალისტებმა, ოპერატორებმა, ბლოგერებმა და სხვა ადამიანებმა, რომლებსაც ვიდეო ან ფოტო გადაღებებით სურთ აქციაზე მიმდინარე მოვლენების ასახვა, აუცილებლად უნდა დაიცვან უსაფრთხოების ზომები, მათ შორის, ტექნიკური აღჭურვილობის დაზიანების თავიდან ასარიდებლად. ერთი მხრივ, ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლა სისხლის სამართლის დანაშაულია,[89] მაგრამ, მეორე მხრივ, გამოვლინდა არაერთი შემთხვევა, როდესაც პოლიციის თანამშრომლები ამ აკრძალვას ცალსახად არღვევენ, რაც მედიის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტებს ეწინააღმდეგება.

რისკის შესამცირებლად, საჭიროა, რომ მედიის წარმომადგენლებს თან ჰქონდეთ მაიდენტიფიცირებელი ნიშნები, რომლებიც სამართალდამცავებს მისცემს აქციის უშუალო მონაწილეებისგან მათი გამიჯვნის საშუალებას. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, ემბლემები წარწერით - PRESS. თუმცა, იმავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ ჟურნალისტად იდენტიფიცირება, შესაძლოა, ზოგიერთი აქციის მიმდინარეობისას უფრო საშიში იყოს, ვიდრე მაიდენტიფიცირებელი ნიშნების გამოყენებისგან თავის შეკავება. კერძოდ, როგორც ეს აღინიშნა ულტრამემარჯვენე ძალადობრივი ჯგუფების კონტრდემონსტრაციის კონტექსტში, შესაძლებელია, ჟურნალისტები ძალადობის პირდაპირი სამიზნეები გახდნენ. ამიტომ, თითოეულ შემთხვევაში, საჭიროა რისკების შეფასება და არსებული სიტუაციის შესაბამისად მოქმედება.

---

87 მაგალითად, იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება საქართველოში საპოლიციო ძალების მიერ მოქალაქეთა საპროტესტო აქციის დაშლის თაობაზე [2023 წლის 31 მაისი] ხელმისაწვდომია: *https://shorturl.at/gozY8* [ბოლო ნახვა: 19.07.2023].

88 Center for Disease Control and Prevention, Facts About Riot Control Agents - Interim Document, ხელმისაწვდომია: *https://shorturl.at/vJQ26* [ბოლო ნახვა 19.07.2023]; იხ. ასევე: Physicians for Human Rights, Preparing for, Protecting Against, and Treating Tear Gas and Other Chemical Irritant Exposure: A Protestor's Guide, 10 June 2020, ხელმისაწვდომია: *https://shorturl.at/fmwF9* [ბოლო ნახვა: 19.07.2023]; იხ. ასევე: Reporters Without Borders, Safety Tips for Journalists Covering Protests, ხელმისაწვდომია: *https://shorturl.at/pxBIP* [ბოლო ნახვა: 19.07.2023]. ცრემლსადენი გაზთან კონტაქტის შედეგების შესახებ ინფორმაციისთვის, იხ. Amnesty International, Tear Gas: An Investigation, ხელმისაწვდომია: *https://shorturl.at/zRSU7* [ბოლო ნახვა: 19.07.2023].

89 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლი.

საუკეთესო შემთხვევაში, შეძლებისდაგვარად, ჟურნალისტები წინასწარ უთანხმდებიან პოლიციელებს, რომ ისინი ადგილზე იმყოფებიან შეკრების გასაშუქებლად. ჟურნალისტური საქმიანობის დაუბრკოლებლად განხორციელება ასევე დამოკიდებულია პოლიციელების განწყობასა და მათთან თანამშრომლობის სურვილზე, რადგან ჟურნალისტები ზოგჯერ, შესაძლოა, პოლიციის მხრიდანაც წააწყდნენ ძალადობას. ცხადია, ამგვარი დამოკიდებულება ყოვლად გაუმართლებელია და პირდაპირ არღვევს მედიის თავისუფლების სტანდარტებს. რადგან ჟურნალისტებსა და აქციის მონაწილეებზე დაცვის განსხვავებული სტანდარტები ვრცელდება, ჟურნალისტებმა წინასწარ უნდა გადაწყვიტონ, რა სტატუსით არიან აქციაზე - როგორც მონაწილეები, თუ როგორც მედიის წარმომადგენლები.[90]

Reporters Without Borders (რეპორტიორები საზღვრებს გარეშე) მედიის წარმომადგენლებს ურჩევს უსაფრთხოებისთვის საჭირო სპეციალური ზომების მიღებას.[91] მაგალითად, აქციის გასაშუქებლად ყოველთვის უკეთესია ადგილზე პარტნიორთან ერთად მისვლა და თანამშრომლებთან მუდმივი კომუნიკაცია, მათშორის, იმმიზნით, რომ, დაკავებისშემთხვევაში, მოხდეს ფაქტის დოკუმენტირება; ამასთანავე, საჭიროა სხვადასხვა ზონის იდენტიფიცირება და სავარაუდო „გასასვლელების" მონიშვნა, რაც მედიის წარმომადგენლებს დაეხმარება არა მხოლოდ ტერიტორიიდან გასვლაში, არამედ კოლეგების მოძებნაშიც.[92] კიბერუსაფრთხოებისთვის სასურველია VPN-ისა და Mesh messaging აპლიკაციების გამოყენება. ასევე რეკომენდებულია დამატებითი მობილური ტელეფონის ქონა (რომლის მეხსიერებაც ცარიელია), საკუთარი ტელეფონის დაკარგვისა ან პოლიციის მიერ ჩამორთმევის შემთხვევაში.[93] ტელეფონის ჩამორთმევისა და მოგვიანებით მისი უკან დაბრუნებისას, უმჯობესია, ჟურნალისტმა ის არ გამოიყენოს, რადგან, შესაძლოა, შეიცავდეს მიყურადების ან ლოკაციის დადგენის რისკებს.[94]

წინასწარ უნდა იყოს შესწავლილი შეკრების ან მანიფესტაციის ჩასატარებლად განსაზღვრული ადგილი. მედიის წარმომადგენლები უნდა შეეცადნენ, იპოვონ ისეთი ადგილი, საიდანაც ფოტო და ვიდეო გადაღების საშუალება იქნება; ამასთანავე, სასურველია, ჟურნალისტები არ მოექცნენ აქციის შუაგულში. რაც მთავარია, ყოველთვის უნდა ადევნონ თვალი, რა ხდება გარშემო: ყურადღება მიაქციონ როგორც ქმედებებსა და განვითარებულ მოვლენებს, ისე ხმებს (რომლებსაც გამოსცემენ, მაგალითად, რეზინის ტყვიები და სხვა სპეციალური საშუალებები) და დროდადრო მიმოიხედონ, რათა დაადგინონ ადგილის დატოვების უსაფრთხო გზები.[95]

შეიძლება თუ არა აქციის/პროტესტის ფოტო ან ვიდეო გადაღება?

აქციის მონაწილეს შეუძლია შეკრების გადაღება პოლიციის საქმიანობის შეზღუდვის გარეშე. უფრო მეტიც, მისმა ვიდეომასალამ, შესაძლებელია, კრიტიკული მნიშვნელობა შეიძინოს პოლიციის მიერ ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების კანონიერების შესაფასებლად. ამგვარი გადაღება, ხშირ შემთხვევაში, წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის პრევენციის საშუალებაა.

---

90 OSCE Office of the Representative on Freedom of the Media, Special Report: Handling of the Media during Public Assemblies, 22 October 2020, ხელმისაწვდომია: *https://shorturl.at/etxU6* [ბოლო ნახვა: 19.07.2023].

91 Reporters Without Borders, Safety Tips for Journalists Covering Protests, ხელმისაწვდომია: *https://shorturl.at/gtTU9* [ბოლო ნახვა: 19.07.2023].

92 იქვე.

93 იქვე.

94 იქვე.

95 იქვე.

ისეთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის, როგორიცაა წვრილმანი ხულიგნობა და პოლიციის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობა, დაკავების პროცესის ამსახველ ვიდეომასალებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის დასადგენად, ნამდვილად არღვევდა თუ არა პირი საზოგადოებრივ წესრიგს და მოქალაქეთა სიმშვიდეს დაკავების მომენტში. მასში შეიძლება ასევე აღიბეჭდოს: რა მოთხოვნებს უყენებდა დაკავებულ პირს პოლიცია, იყო თუ არა ეს მოთხოვნა/მოთხოვნები კანონიერი და დაემორჩილა თუ არა მას დაკავებული. ვიდეოჩანაწერი სასამართლოს მხრიდან უტყუარ მტკიცებულებად მიიჩნევა და, შესაძლებელია, ამის საფუძველზე პირი იმ შემთხვევაშიც კი გამართლდეს, როდესაც მის წინააღმდეგ რამდენიმე პოლიციელი აძლევს ჩვენებას.

ამასთანავე, შესაძლოა, ვიდეომასალა გახდეს ძალის გადამეტებისთვის პოლიციელებისთვის დისციპლინური ანდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. ვიდეომასალა გამოსადეგია იმის დასასაბუთებლად, რომ პოლიციამ უკანონოდ გამოიყენა ძალა, შესაბამისად, ამ მტკიცებულებაზე დაყრდნობით, დაზარალებულმა შეიძლება კომპენსაცია მიიღოს.

აქედან გამომდინარე, შეკრებისა და მანიფესტაციის ფოტო-ვიდეო გადაღება ძალიან მნიშვნელოვანია.

როგორ უნდა მოიქცეს აქციის მონაწილე, როდესაც ხედავს, რომ სხვაზე ძალადობენ?

შეკრებისა და მანიფესტაციის მონაწილეებს მოეთხოვებათ, პოლიციის ძალადობრივ ქმედებას არ უპასუხონ ძალადობით. იმის მიუხედავად, რომ, შესაძლოა, დაკავება უკანონოდ გამოიყურებოდეს, აქციის მონაწილემ ძალის გამოყენებით პოლიციას ხელი არ უნდა შეუშალოს პროტესტის სხვა მონაწილის დაკავებაში. პოლიციის ქმედების კანონიერების შეფასების უფლება მხოლოდ სასამართლოს აქვს. ეს, ბუნებრივია, არ გამორიცხავს იმას, რომ აქციის ერთი მონაწილე სხვას დაეხმაროს ძალადობისგან თავის დაღწევაში, შეკრების ჩატარების ადგილის დატოვებაში, ან აღმოუჩინოს მას პირველადი სამედიცინო დახმარება.

ამასთანავე, როდესაც დემონსტრაციაზე ხდება აშკარა დანაშაული (მაგალითად, აქციის მონაწილის დანით დაჭრა), სისხლის სამართლის კანონმდებლობით, დასაშვებია დამნაშავის შეპყრობა სამართალდამცავი ორგანოებისთვის გადაცემის მიზნით.[96] დამნაშავის შესაპყრობად ნებადართულია მხოლოდ ამისთვის აუცილებელი ძალის გამოყენება.[97] აქციის მონაწილეს დაეკისრება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ ასეთ დროს გამოიყენებს გადამეტებულ ძალას ან დამნაშავის შეპყრობის შემდეგ, პოლიციის მოსვლამდე, ფიზიკურად გაუსწორდება მას.

აქციის მონაწილეები არ უნდა აჰყვნენ პროვოკაციას. ადამიანი, რომელიც ავიწროებს და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს ერთ ან რამდენიმე მონაწილეს, პოლიციამ შეკრების ჩატარების ადგილიდან უნდა გაიყვანოს. აქციის მონაწილეებმა არ უნდა გამოიყენონ ფიზიკური ძალა სხვა ადამიანის მიმართ, თუ მისი ქმედება აშკარად ძალადობრივი არ არის.

96 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 29-ე მუხლი.

97 იქვე.

შემაჯამებელი დასკვნები

- მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება დაცულია. შეკრების დაშლა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც იგი უკანონო ხასიათს მიიღებს. აქციის მსვლელობისას მხოლოდ ერთი ან რამდენიმე მონაწილის ძალადობრივი ქმედება მთლიან შეკრებას არ სძენს ძალადობრივ ხასიათს. შესაბამისად, მათი სავარაუდო პასუხისმგებლობის საკითხი ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს.
- შეკრება ძალადობრივია, თუ ორგანიზატორებს ამგვარი განზრახვა აქვთ, ანდა მონაწილეების დიდი ნაწილი ძალადობს სხვა ადამიანებზე. შეკრების ან მანიფესტაციის დროს დაუშვებელია ძალადობრივი ქმედებისკენ საჯარო მოწოდება. ისეთი განცხადებები, რომლებიც ქმნის ძალმომრეობის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს, სისხლის სამართლის დანაშაულია.
- თუკი აქციის მსვლელობისას მოსალოდნელია გზის გადაკეტვა, აუცილებელია მერიაში გაფრთხილების შეტანა შეკრებამდე 5 დღით ადრე. ეს ვალდებულება არ ნიშნავს, რომ მერიას საპროტესტო აქციის აკრძალვის უფლება აქვს, რადგან საქართველოში არ მოქმედებს სანებართვო სისტემა. გაფრთხილების მიუხედავად, აქციის მონაწილეებს არ აქვთ გზის სავალი ნაწილის გადაკეტვის უფლება, როდესაც ისინი ტროტუარზეც ეტევიან.
- აქცია სპონტანურია, როდესაც პროტესტის მიზეზი მოულოდნელად წარმოიშობა და საჭიროა მისი სწრაფად გამოხატვა. ასეთ შემთხვევაში, მერიაში გაფრთხილების შეტანა და აქციის ჩასატარებლად 5 დღე ლოდინი პროტესტს აზრს დაუკარგავს, ამიტომ, ეს არ მოითხოვება. წინასწარი გაფრთხილების არარსებობის გამო სპონტანური აქციის იძულებითი შეწყვეტა ეწინააღმდეგება შეკრების თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტებს.
- მოგვიანებით დაანონსებული კონტრდემონსტრაციის გამო, შეკრების მონაწილეებს უარი არ უნდა უთხრან პროტესტის ან სოლიდარობის გამოხატვაზე იმ ადგილას და იმ დროს, რომლებიც გაფრთხილებაშია მითითებული. თანადროული დემონსტრაციების შემთხვევაშიც, უპირატესობა იმ შეკრებას ენიჭება, რომლის შესახებაც მერიამ უფრო ადრე მიიღო გაფრთხილება.
- თუკი კონტრდემონსტრაცია ძალადობრივია, სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას მშვიდობიანი შეკრების მონაწილეები, რაც არ შემოიფარგლება მხოლოდ მათი ევაკუაციით.
- შეკრების დაშლისას სახელმწიფომ პროპორციული ძალა უნდა გამოიყენოს. სპეციალური საშუალებების გამოყენება მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, თანაზომიერების დაცვითაა დასაშვები.
- შეკრების დაშლისა და ადმინისტრაციული დაკავებისას პოლიციის ქმედების უწყვეტი ვიდეოგადაღება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ასეთი კადრები სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას, დაადგინოს, რამდენად კანონიერად მოქმედებდნენ პოლიციის თანამშრომლები.

დანართები

დანართი 1: გაფრთხილების ნიმუში

ქალაქ თბილისის მერს,

ბატონ კახა კალაძეს

შეკრების და მანიფესტაციის რწმუნებული: ლელა ხერხაძე,
/მისამართი: ქალაქი თბილისი, კახიძის ქ. №15
ტელეფონი: 588593015/
შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზატორი: გიული ჩხეიძე
/მისამართი: ქალაქი თბილისი, შატბერაშვილის ქ. №19
ტელეფონი: 588324783/

გაფრთხილება

(შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარების შესახებ)

შეკრებისა და მანიფესტაციის ინიციატორი (მარწმუნებელი) გახლავთ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალები მშვიდობისათვის“ (დანართის სახით იხილეთ ამ ორგანიზაციის დირექტორის, ნანული ბერიძის რწმუნება, რომელიც ლელა ხერხაძეს ანიჭებს უფლებამოსილებას, შეიტანოს გაფრთხილება მერიაში).

„ქალები მშვიდობისათვის“ გეგმავს მსვლელობის მოწყობას ქალაქ თბილისში, ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიიდან საქართველოს პარლამენტამდე, შემდეგ კი, პარლამენტის შენობის წინ, მეგაფონებით სიტყვით გამოსვლას. ფილარმონიიდან მსვლელობა დაიწყება 2023 წლის 25 ივნისს, 17:00 საათზე და დასრულდება რუსთაველის გამზირზე 2023 წლის 25 ივნისს, 18:00 საათზე. რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობასთან, მიტინგი დაიწყება 2023 წლის 25 ივნისს, 18:00 საათზე და დასრულდება ამავე დღეს 20 საათზე. მსვლელობასა და საპროტესტო აქციაში მონაწილეობას მიიღებს 2000-მდე ადამიანი. მერაბ კოსტავას და რუსთაველის გამზირზე მსვლელობისას 2023 წლის 25 ივნისის 17:00-იდან 18:00 საათამდე შეფერხდება ტრანსპორტით გადაადგილება, ხოლო 2023 წლის 25 ივნისის 18:00-იდან 20:00 საათამდე გადაკეტილი იქნება რუსთაველის გამზირის ტრანსპორტის სამოძრაო ადგილი.

2023 წლის 25 ივნისს დაგეგმილი შეკრების მიზანია პროტესტის გამოხატვა ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის გაზრდილი შემთხვევების გამო.

გთხოვთ, შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარების მითითებულ დროს და ადგილას უზრუნველყოთ სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანის ყოფნა.

პატივისცემით,

ლელა ხერხაძე _____
რწმუნებული

გიული ჩხეიძე _____
ორგანიზატორი

გაფრთხილების შეტანის თარიღი და დრო: 2023 წლის 17 ივნისი, 13 საათი და 45 წუთი.

დანართი 2: რწმუნების ნიმუში

ქალები მშვიდობისათვის

ქალაქ თბილისის მერს,

ბატონ კახა კალაძეს

რწმუნება

რწმუნება ეძლევა ლელა ხერხაძეს (პირადი ნომერი 02023425987) მასზე, რომ, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალები მშვიდობისათვის“ რწმუნებულმა, გაფრთხილება შეიტანოს თბილისის მერიაში 2023 წლის 25 ივნისს ქალაქ თბილისში, კოსტავასა და რუსთაველის გამზირზე ორგანიზაციის „ქალები მშვიდობისათვის“ ინიციატივით დაგეგმილი შეკრებისა და მანიფესტაციის თაობაზე. ასევე, რწმუნებულს ენიჭება სრული უფლებამოსილება, დაიცვას შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარებასთან დაკავშირებით ორგანიზაციის „ქალები მშვიდობისათვის“ ინტერესები თბილისის მერიის წინაშე.

პატივისცემით,

ნანული ბერიძე

ააიპ „ქალები მშვიდობისათვის“

დირექტორი

_____

16.06.2023